სადაც $Q_{10\%}$ - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ³/მ-ში, ჩვენს შემთხვევაში ის შეადგენს 1208 მ³/წმ-ს.

ხოლო $Q_{10\%}$ - მდინარე მტკვრის 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენს შემთხვევაში ტოლია 798 მ³/წმ-ის.

g - ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება (μ გრ/ლ)=0,35 გრ/ლ ანუ 0,00035 კგ/ლ და $d_{dan}=0,09$ მ-ს. აქედან $d_{mok}= d_{dan}*1.8=0.16$ მ-ს. ხოლო ფარდობა $\left(\frac{H}{d_{mok}} = \frac{3.73}{0.16}\right)=23.3 \geq 3$ -ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან შეეფარდება $K=0.35$

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით თავდაპირველად მოცემულ ფორმულაში მიიღება მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე რომელიც ტოლია 4,5 მეტრის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{max}=1.6*H_s$$

მოყვანილ გამოსახულებაში შესაბამისად მდინარე მტკვრის პირველი უბნის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე იქნება 7,2 მ-ის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები H_{max} უნდა გადაიზომოს საკვლევი ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის პირველი უბნის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ.

მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის საანგარიშოდ საჭირო და ზემოთ მოცემული პარამეტრების გაანგარიშებული მნიშვნელობები და თვით კალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმეები საპროექტო კვეთში მოცემულია ცხრილში #5.

ცხრილი#5

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	$Q_{10\%}$ მ ³ /წმ	i - კალაპ.	g \sqrt{g}	d_{na} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	d_{mok}	H_s მ.	H_{max} მ.
მდინარე მტკვარი პირველი უბანი	1208	798	0,0034	9.8 $\sqrt{3.13}$	0.09	3,73	0.35	0.16	4,5	7,2

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმეული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმეული ეროზიის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. აქედან გამომდინარე თუ საპროექტო ნაგებობების უბანზე დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, მშენებლობა (ნაგებობა) უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

ნაპირსამაგრი ქვის დიამეტრი

საკვლევ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ფლეთილი ქვები. მდინარე მტკვრის პირველი უბნის ნაპირსამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის დიამეტრი დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეებზე ნაპირსამაგრი გრძივი დამბების მოპირკეთების კონსტრუირების რეკომენდაციებში“ (ბიშკეკი, 1991 წ). აღნიშნული მეთოდის თანახმად, ნაპირსამაგრი ფლეთილი ქვის დიამეტრი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$D_{kv} = \frac{2.15}{m_0^{0.7}} * \left(\frac{\gamma}{\gamma_h - \gamma_s} \right) * \left(\frac{Q_{p\%} * i}{\sqrt{g}} \right)^{0.4} \vartheta$$

M_0 _ნაპირსამაგრი ნაგებობის დახრის კოეფიციენტი, რაც მიღებულია 1,5-ის ტოლი;

γ_s _წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება

გამოსახულებით
$$\gamma_s = \gamma + \mu \cdot \frac{\gamma_h - \gamma}{\gamma_h}$$
 სადაც γ და γ_h _ წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში; $\gamma = 1000$ კგ/მ³-ში და $\gamma_h = 2650$ კგ/მ³-ში; μ - კალაპოტის წარმომქმნელი მყარი ნატანის შემცველობა წყლისა და მყარი ნატანის ნარევი გრ/ლ ან კგ/მ³-ში; მისი სიდიდე იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{dan}} \right)^{0.7} * i^{2.2}$$

$\mu = 0.35$ გრ/ლ ანუ 0,00035 კგ/ლ, სადაც H _ ნაკადის საშუალო სიღრმეა მეტრებში, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მდინარის ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,73 მ-ის;

d_{sash} _მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია, რომლის მნიშვნელობა დადგენილია ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებით და ტოლია 0,09 მ-ის i _ ორივე ფორმულაში ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობა საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0034-ის ; ხოლო $\gamma_s = 1000$ კგ/მ³ -ში.

$Q_{p\%}$ _მდინარის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1%-იანი უზრუნველყოფის (100 წლიანი განმეორებადობის) წლის მაქსიმალური ხარჯის 1208 მ³/წმ.

g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა. ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიიღება სანაყაროს ნაპირგამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდე, რაც ტოლია 1,11 მ-ის.

ზემოთ წარმოდგენილ ფორმულებში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიღებული შედეგები და ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდეები მოცემულია ცხრილ #6-ში.

ცხრილი #6

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	M_0	i - კალაპ.	g \sqrt{g}	d_{na} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	Y_s კგ/მ ³	D_{kv} მ.
მდინარე მტკვარი პირველი უბანი	1208	1.5	0,0034	9.8 $\sqrt{3.13}$	0.09	3,73	0.35 ანუ 0,00035 კგ/ლ	1000	1.11

ბერმაში გამოსაყენებელი ქვების დიამეტრი ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით დადგენილია 1.11 მ. ბერმის მშენებლობის დროს 1.11 მ დიამეტრის ქვები უნდა შეადგენდეს საერთო რაოდენობის 70%-ს, 20% უნდა იყოს 1.5 d-ს ტოლი, ანუ 1,67 მ და 10% - 0.5d-ს ტოლი, ანუ 0.56 მ-ს ტოლი. აქედან გამომდინარე მშენებლობის დროს გამოყენებული ფლეთილი ქვების მინიმალური დიამეტრი უნდა შეადგენდეს 0,56 მ-ს, მაქსიმალური დიამეტრი 1,67 მ-ს.

კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული ნაწილი და ნახაზები მიზნად ისახავს მდინარე მტკვარზე სოფელ ყვიბისთან პირველი უბნის მარჯვენა ნაპირის დაცვას. აღნიშნულ მონაკვეთზე ადგილი აქვს ნაპირის ინტენსიურ გარეცხვას. ეროზიული პროცესების შესაჩერებლად გათვალისწინებულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება.

ნაპირსამაგრი პროექტი ითვალისწინებს ავარიული ნაპირის დაცვას ლოდებისგან აგებული ნაყარი ბერმის აგებას. ნაგებობის საანგარიშო პარამეტრები გათვლილია და გაანგარიშებულია მდინარის მაქსიმალური 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისად. ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1039 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია $1,11 \approx 1,1$ მ, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³. ნაგებობის ერთი გრძივი მეტრი საშუალოდ შეიცავს 40 კუბ.მ. მოცულობის ლოდს, ნაგებობის გარე კუთხის დახრა (ფერდის) დახრა შეადგენს $m=1.5$. საპროექტო ბერმის თხემის სიგანე შეადგენს 4 მეტრს, მარაგი წარეცხვაზე -1,0 მ-ს, ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მ-ს.

ცხრილში #7 მოცემულია სამშენებლო სამუშაოების პიკეტ შორისი უწყისი.

ცხრილი #7

სამშენებლო სამუშაოების პიკეტ შორისი უწყისი			
განივები	ფლეთილი ქვის ბერმა	განივებს შორის მანძილი	ფლეთილი ქვის ბერმის მოწყობის მოცულობა განივებს შორის კუბ. მ
1	43.1		
		148	6275.2
2	41.7		
		171	6993.9
3	40.1		
		153	5867.55
4	36.6		
		149	5952.55
5	43.3		
		125	5025
6	37.1		
		140	5488
7	41.3		
		141	5632.95
8	38.6		
სულ			41235.15

ცხრილში #8 მოცემულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის კოორდინატები თხემის შიდა წიბოს მიხედვით.

ცხრილი #8

კოორდინატები მოცემულია ფლეთილი ქვის ბერმის თხემის შიდა წიბოს მიხედვით		
პიკეტი	X	Y
0+00	368429.53	4634524.02
1+48	368473.22	4634665.09
3+19	364897.54	4634834.42
4+72	368504.42	4634986.85
6+21	368536.02	4635131.89
7+46	368578.34	4635249.92
8+86	368573.26	4635389.46
10+27	368539.26	463526.275

ასევე მდინარე მტკვარს აღნიშნულ მონაკვეთში მარჯვენა მხრიდან უერთდება ორი მცირე ზომის დედა და ისინი კოლექტორის საშუალებით უერთდება მდინარე მტკვარს. აღნიშნული დედეების კოორდინატებია 1)X- 368490,09 Y-4634742,53 2) 1)X- 368554,61 Y-4635151,31. ბერმის მშენებლობის დროს ეს საკითხები გასათვალისწინებელია. უნდა მოხდეს ამ ორი კოლექტორის დაგრძელება იმ პარამეტრების მიხედვით რაც მათ აქვთ და კოლექტორმა უნდა გაიაროს 9ნაპირსამაგრის) ფლეთილი ქვების (ლოდების) ბერმის ტანში, სადაც ის განიტვირთება და მიუერთდება მდინარე მტკვარს.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯები

საკვლევ ტერიტორიის მეორე უბნის მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია ჰ/ს ლიკანის მონაცემები, რომელიც მოცემულია „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები, ტომი 9, გამოშვება 1,“ ცნობარში. გადასვლა ანალოგის, ანუ ჰ/ს ლიკანის კვეთიდან მდინარე მტკვრის პირველი უბნის საპროექტო კვეთში განხორციელდა გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფართობით შემდეგი გამოსახულებით

$$K = \left(\frac{F_{sapr.}}{F_{an.}} \right)^n$$

სადაც $F_{sapr.}$ - მდინარე მტკვრის პირველი უბნის წყალშემკრები აუზის ფართობია, რაც ტოლია 11 027 კმ² (ნიშნული 768,22 მ).

$F_{an.}$ - მდინარე მტკვრის ჰ/ს ლიკანის ანუ ანალოგის წყალშემკრები აუზის ფართობია რაც შეადგენს ლიკანის კვეთში 10 500 კმ²-ს.

n - არის რედუქციის ხარისხის მაჩვენებელი და რადგან საპროექტო კვეთის წყალშემკრები აუზის ფართობის მეტია ანალოგის ფართობზე მისი მნიშვნელობა მიიღება 0,5-ის ტოლი.

აქედან ჰ/ს ლიკანის კვეთიდან გადასაყვანი კოეფიციენტი პირველი უბნისთვის არის $n=1.025$ მდინარე მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები ჰ/ს ლიკანის და საპროექტო მეორე უბნის კვეთებში, მოცემულია **#9 ცხრილში** მდ. მტკვარი სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები მეორე უბანთან Q მ³/წმ.

ცხრილი #9.

კვეთი	F კმ ²	Q _ი მ ³ /წმ	C _v	C _s	K	უზრუნველყოფა %				
						1	2	5	10	25
ჰ/ს ლიკანი	10 500	499	0,43	1,30	-	1180	1070	910	780	600
საპროექტო მეორე უბანი	11 027	519	-	-	1,025	1210	1097	933	800	615

აღნიშნულ მონაკვეთში მდინარე მტკვარზე პირველი და მეორე უბანი ერთმანეთთან ახლოსაა მათ შორის მანძილი 35-40 მეტრია, მაგრამ პირველი უბნის დასასრულს მდინარე მტკვარს უერთდება მარჯვენა მხრიდან მცირე შენაკადი მდინარე ყვიბისისწყალი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯების დასადგენად მდინარე ყვიბისისწყლის და მისი წყალშემკრები აუზის გათვალისწინება. სწორედ ამის გამო არის პირველ და მეორე უბნებს შორის მაქსიმალური ხარჯების მცირედით განსხვავებული სიდიდეები.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის **ცხრილ#9-ში** მოცემული მაქსიმალური ხარჯები მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური დონეები და სიჩქარე

მდინარე მტკვარზე მეორე უბანზე წყლის მაქსიმალური დონეების ნიშნულების დასადგენად საკვლევ ტერიტორიაზე, მოხდა კალაპოტის განივი პროფილის გადაღება, რომლის საფუძველზეც დადგენილი იქნა მდინარე მტკვრის ჰიდრაულიკური ელემენტები.

აღნიშნული პარამეტრების მიხედვით მოხდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება. წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდი, საიდანაც დადგენილია წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია საანგარიშო კვეთს შორის ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობის შერჩევის გზით.

ნაკადის საშუალო სიჩქარე კვეთებში დადგენილია შეზი - მანინგის ფორმულით

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადაც h - ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ით,

i - ნაკადის ჰიდავლიკური ქანობია ორ საანგარიშო კვეთს შორის,
 n - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რომელიც არსებულ პირობებში აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან. **ცხრილ №10-ში** მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯებისა და შესაბამისი დონეების შესახებ.

ცხრილი #10

მდინარე მტკვარი მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯები და შესაბამისი დონეები									
სიმაღლითი ნიშნულები									
კვეთის რიგითი ნომერი	მანძილი მ.	დახრილობა	მარჯვენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	მარცხენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.ზ.დ	ვაქტიური წყლის დონე	100 წლიანი განმეორებადობა 1210 მ ³ /წმ	საწყისი წერტილის კოორდინატები	
	31.8								
1		0.0057	776.10	776.30	767.95	769.08	773.24	368447.652	4635526.853
2	75.3								
		0.0062	776.00	776.20	767.50	768.62	771.90	368414.171	4635594.617
3	106								
		0.0008	777.40	775.30	766.80	768.54	771.88	368371562	4635679.437
4	140								
		0.0022	779.30	774.18	766.70	768.23	771.40	368282.872	4635799.143

ცხრილ №11-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის ჰიდრავლიკური ელემენტები

ცხრილი #11

მდინარე მტკვარი მეორე უბნის ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილი								
კვეთის ნიშნული მ.ზ.დ. H(საშ)	კვეთის ელემენტი	კვეთის ფართობი F(მ ²)	ნაკადის სიგანე B (მ)	საშუალო სიღრმე h(მ)	საშუალო სიჩქარე V საშ მ/წმ	სიმქისის კოეფიციენტი n	ნაკადის ქანობი i	წყლის ხარჯი Q მ ³ /წმ
1	2	3.0	4.0	5	6	7	8	9
განივი კვეთი #1								
769.08	კალაპოტი	42.6	56.0	0.76	1.59	0.0454	0.0075	68
770.08	კალაპოტი	100.3	59.2	1.69	2.18	0.0363	0.0031	219
771.08	კალაპოტი	159.0	63.2	2.52	2.85	0.0363	0.0031	453
772.08	კალაპოტი	228.3	77.1	2.96	3.17	0.0363	0.0031	725
773.08	კალაპოტი	316.4	92.3	3.43	3.50	0.0363	0.0031	1108
773.58	კალაპოტი	367.2	98.3	3.74	3.71	0.0363	0.0031	1362
განივი კვეთი #2								
768.62	კალაპოტი	46.9	53.4	0.88	1.67	0.0433	0.0062	78

769.62	კალაპოტი	108.9	74.5	1.46	2.35	0.0433	0.0062	255
770.62	კალაპოტი	198.2	101.1	1.96	2.85	0.0433	0.0062	566
771.62	კალაპოტი	304.2	111.4	2.73	3.56	0.0433	0.0062	1084
772.62	კალაპოტი	415.0	114.3	3.63	4.31	0.0433	0.0062	1790
განივი კვეთი #3								
768.54	კალაპოტი	78.7	57.7	1.36	1.58	0.0221	0.0008	124
769.54	კალაპოტი	138.8	63.7	2.18	2.16	0.0221	0.0008	299
770.54	კალაპოტი	206.4	71.0	2.91	2.62	0.0221	0.0008	540
771.54	კალაპოტი	281.1	74.0	3.80	3.13	0.0221	0.0008	880
772.54	კალაპოტი	361.1	78.0	4.63	3.57	0.0221	0.0008	1290
განივი კვეთი #4								
768.23	კალაპოტი	76.2	79.7	0.96	1.32	0.0344	0.0022	101
769.23	კალაპოტი	158.7	85.2	1.86	2.07	0.0344	0.0022	328
770.23	კალაპოტი	246.6	91.3	2.70	2.65	0.0344	0.0022	654
771.23	კალაპოტი	352.2	98.5	3.58	3.20	0.0344	0.0022	1128
772.23	კალაპოტი	453.6	104.0	4.36	3.66	0.0344	0.0022	1659

ცხრილ#12-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯის განმეორებადობის და შესაბამისი დონის შესახებ

ცხრილი #12

განივი კვეთის #	წყლის ნაპირის ნიშნული მ. აბს.	წ.მ.დ.
		T=100 წელი
		Qmax=1210 მ3/წმ
1	769.09	773.24
2	768.62	771.9
3	768.54	771.88
4	768.23	771.4

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „ მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{saS.} = \frac{K}{i^{0.03}} \left(\frac{Q_{1\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4} m$$

სადაც K - კოეფიციენია, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე (μ გრ/ლ) და ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალაპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო დიამეტრის ფარდობაზე ($\frac{H}{dmok}$), აიღება სპეციალური ცხრილიდან.

წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{dan}} \right)^{0.7} * i^{2.2}$$

სადაც H- ნაკადის საშუალო სიღრმეა საანგარიშო კვეთში. მისი სიდიდე აღებულია მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,60 მ-ის.

d_{dan} - მდინარის ფსკერზე კალაპოტის ძირზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება

$$d_{dan} = K * i^{0.9} * \left(\frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ k - კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას, მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მასალის (μ გრ/ლ) რაოდენობაზე, აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენს შემთხვევაში ტოლია 1.6-ის.

i - ყველა ფორმულაში ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობი (ადგილობრივი ქანობი) საპროექტო უბანზე, ჩვენს შემთხვევაში ტოლია 0,0027-ის.

სადაც $Q_{1\%}$ - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ³/მ-ში, ჩვენს ჩემთვევაში ის შეადგენს 1210 მ³/წმ-ს.

ხოლო $Q_{10\%}$ - მდინარე მტკვრის 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენს შემთხვევაში ტოლია 800 მ³/წმ-ის.

გ - ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება (μ გრ/ლ)=0,25 გრ/ლ ანუ 0,00025კგ/ლ და $d_{dan}=0,07$ მ-ს. აქედან $d_{mok}= d_{dan}*1.8=0.13$ მ-ს. ხოლო ფარდობა ($\frac{H}{d_{mok}} = \frac{3,60}{0.13}$)=27,7 ≥ 3 -ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან შეეფარდება $K=0.35$

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით თავდაპირველად მოცემულ ფორმულაში მიიღება მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე რომელიც ტოლია 4,5 მეტრის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{max}=1.6*H_s$$

მოყვანილ გამოსახულებაში შესაბამისად მდინარე მტკვრის მეორე უბნის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე იქნება 7,2 მ-ის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები H_{max} უნდა გადაიზომოს საკვლევი ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის მეორე უბნის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის საანგარიშოდ საჭირო და ზემოთ მოცემული პარამეტრების გაანგარიშებული მნიშვნელობები და თვით კალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმეები საპროექტო კვეთში მოცემულია ცხრილში #13.

ცხრილი#13

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	$Q_{10\%}$ მ ³ /წმ	i- კალაპ.	$\frac{g}{\sqrt{g}}$	d_{dna} მ.	R=h მ.	μ გრ/ლ	d_{mok}	H_s მ.	H_{max} მ.
მდინარე მტკვარი მეორე უბანი	1210	800	0,0027	9.8 $\sqrt{3.13}$	0,07	3,60		0,13	4,5	7,2

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმული ეროზიის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. აქედან გამომდინარე თუ საპროექტო ნაგებობების უბანზე დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, მშენებლობა (ნაგებობა) უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

ნაპირსამაგრი ქვის დიამეტრი

საკვლევ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ფლეთილი ქვები. მდინარე მტკვრის მეორე უბნის ნაპირგამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის დიამეტრი დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეებზე ნაპირსამაგრი გრძივი დამბების მოპირკეთების კონსტრუირების რეკომენდაციებში“ (ბიშკეკი, 1991 წ). აღნიშნული მეთოდის თანახმად, ნაპირსამაგრი ფლეთილი ქვის დიამეტრი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$D_{kv} = \frac{2.15}{m_0^{0.7}} * \left(\frac{\gamma}{\gamma_h - \gamma_s} \right) * \left(\frac{Q_p^{0.5} * i}{\sqrt{g}} \right)^{0.4} \vartheta$$

M_0 _ნაპირსამაგრი ნაგებობის დახრის კოეფიციენტი, რაც მიღებულია 1,5-ის ტოლი;

γ_s _წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება

გამოსახულებით $\gamma_s = \gamma + \mu \cdot \frac{\gamma_H - \gamma}{\gamma_H}$ სადაც γ და γ_H _ წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში; $\gamma = 1000$ კგ/მ³-ში და $\gamma_H = 2650$ კგ/მ³-ში; μ - კალაპოტის წარმომქმნელი მყარი ნატანის შემცველობაა წყლისა და მყარი ნატანის ნარევი გრ/ლ ან კგ/მ³-ში; მისი სიდიდე იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{dan}} \right)^{0.7} * i^{2.2}$$

$\mu = 0.25$ გრ/ლ ანუ 0,00025 კგ/ლ, სადაც H _ ნაკადის საშუალო სიღრმეა მეტრებში, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,60 მ-ის ;

d_{sash} _მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია, რომლის მნიშვნელობა დადგენილია ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებით და ტოლია 0,071, მ-ის

i – ორივე ფორმულაში ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0027-ის ; ხოლო $\gamma_s=1000$ კგ/მ³ -ში.

$Q_{P\%}$ – მდინარის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1%-იანი უზრუნველყოფის (100 წლიანი განმეორებადობის) წლის მაქსიმალური ხარჯის 1210 მ³/წმ.

g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა. ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიიღება საწყაროს ნაპირგამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდე, რაც ტოლია 1,00 მ-ის.

ზემოთ წარმოდგენილ ფორმულებში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიღებული შედეგები და ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდეები მოცემულია ცხრილ #14-ში.

ცხრილი #14

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	M_0	i - კალაპ.	g \sqrt{g}	d_{na} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	γ_s კგ/მ ³	D_{kv} მ.
მდინარე მტკვარი მეორე უბანი	1210	1.5	0,0027	9.8 $\sqrt{3.13}$	0.07	360	0.25 ანუ 0,00025 კგ/ლ	1000	1.00

ბერმაში გამოსაყენებელი ქვების დიამეტრი ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით დადგენილია 1.00 მ. ბერმის მშენებლობის დროს 1.00 მ დიამეტრის ქვები უნდა შეადგენდეს საერთო რაოდენობის 70%-ს, 20% უნდა იყოს 1.5 მ-ს ტოლი, ანუ 1,50 მ და 10% - 0.5მ-ს ტოლი, ანუ 0.50 მ-ს ტოლი. აქედან გამომდინარე მშენებლობის დროს გამოყენებული ფლეთილი ქვების მინიმალური დიამეტრი უნდა შეადგენდეს 0,50 მ-ს, მაქსიმალური დიამეტრი 1,50 მ-ს.

კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული ნაწილი და ნახაზები მიზნად ისახავს მდინარე მტკვარზე სოფელ ყვიბისთან მეორე უბნის მარჯვენა ნაპირის დაცვას. აღნიშნულ მონაკვეთზე ადგილი აქვს ნაპირის ინტენსიურ გარეცხვას. ეროზიული პროცესების შესაჩერებლად გათვალისწინებულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება.

ნაპირსამაგრი პროექტი ითვალისწინებს ავარიული ნაპირის დაცვას ლოდებისგან აგებული ნაყარი ბერმის აგებას. ნაგებობის საანგარიშო პარამეტრები გათვლილია და გაანგარიშებულია მდინარის მაქსიმალური 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისად. ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია

1,00 მ-ს, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³. ნაგებობის ერთი გრძივი მეტრი საშუალოდ შეიცავს 40 კუბ.მ. მოცულობის ლოდს, ნაგებობის გარე კუთხის დახრა (ფერდის) დახრა შეადგენს $m=1.5$. საპროექტო ბერმის თხემის სიგანე შეადგენს 4 მეტრს, მარაგი წარეცხვაზე -1,0 მ-ს, ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მ-ს. ცხრილში #15 მოცემულია სამშენებლო სამუშაოების პიკეტ შორისი უწყისი.

ცხრილი #15

სამშენებლო სამუშაოების პიკეტ შორისი უწყისი			
განივები	ფლეთილი ქვის ბერმა	განივებს შორის მანძილი	ფლეთილი ქვის ბერმის მოწყობის მოცულობა განივებს შორის კუბ. მ
1	40.9		
		75	2955
2	37.9		
		107	4194.4
3	40.5		
		104	4206.8
4	40.4		
სულ			11356.2

ცხრილში #16 მოცემულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის კოორდინატები თხემის შიდა წიბოს მიხედვით.

ცხრილი #16

კოორდინატები მოცემულია ფლეთილი ქვის ბერმის თხემის შიდა წიბოს მიხედვით		
პიკეტი	X	Y
0+00	368516.43	4635558.08
0+75	368484.26	4635625.61
1+82	368433.53	4635720.05
3+22	368362.36	4635840.16

სპეციალური ნაწილის დასკვნები და რეკომენდაციები

- საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში, მდ. მტკვარის ხეობის მარჯვენა პირველ ტერასაზე, აბსოლუტური ნიშნულით 768-781 მეტრი;
- სამშენებლო მოედანი მთლიანად აგებულია მეოთხეული ასაკის სილიკომანგანუმის ტექნოგენური გრუნტი tQ_{IV} და ალუვიური გენეზისის კაჭარ-კენჭნარი (alQ_{IV}) გრუნტი, ქვიშის შემავსებლით;
- გრუნტის წყლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ ხუთი მეტრის სიღრმემდე არ დაფიქსირებულია, შესაბამისად ამ მიმართულებით რაიმე სახით დამატებითი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს;
- გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, ხოლო საინჟინრო-გეოლოგიურ პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას;
- საკვლევ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესებიდან დაიკვირვება გვერდითი ეროზიის ლოკალური უნები, რომლებიც საფრთხეს უქმნის რკინიგზის ვაკისის გამართულ ფუნქციონირებას. პრევენციის მიზნით აუცილებელია საკვლევი უბნების გასწვრივ მდ. მტკვარის მარჯვენა ნაპირზე ჰიდროლოგიურ გათვლებზე დაყრდნობით მოეწყოს ახალი ნაპირსამაგრი ნაგებობა;
- ფუძე-სადირკვლების გაანგარიშებისათვის გრუნტების საანგარიშო მახასიათებლები მოცემულია #5 ცხრილში.

ცხრილი #5

ფენა ##	მახასიათებლები				
	ρ	R_0/ R_c	E	φ	C
	გ/სმ ³	კგძ/სმ ²	კგძ/სმ ²	გრადუსი	კგძ/სმ ²
ფენა # 1	3.1	675	-	-	-
ფენა # 2	2.07	5.0	500	35	0.01

- საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 „სეისმომდეგი მშენებლობა“) სოფ. ყვიბისი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო სეისმური თვისებების მიხედვით მასივის ამგები გრუნტები მიეკუთვნება II

კატეგორიას. მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი;

- უბანზე ქარის შესაძლო მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ შეადგენს 23 მ/წმ;
- სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტები – დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრილის თანახმად (ფენა #1) მიეკუთვნება 40გ- IV კატეგორიას, ხოლო (ფენა #2) მიეკუთვნება 6ბ- III კატეგორიას;

ბიომრავალფეროვნება

ფლორა, ფაუნა და იქტიოფაუნა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მდიდარია მცენარეული საფარით. აქ ცნობილია 1600-ზე მეტი სახეობა. რაიონის ტერიტორიის თითქმის 2/3 უჭირავს ტყესა და ბუჩქნარს, გაბატონებულია უმთავრესად ნაძვნარ-სოჭნარი და ნაძვნარ-წიფლნარი, არის ფიჭვნარიც. ტყეებში ზოგან გავრცელებულია მარადმწვანე ქვეტყე და კოლხური ლიანები. შერეულ ტყეებში წიწვიანების გვერდით გვხვდება წიფელი, ნეკერჩხალი, მუხა, არყი. 2100-2200 მ. სიმაღლეზე ტყეებს ცვლის სუბალპური მდელოები, რომლებიც სათიბ-სამოვრებადაა გამოყენებული. აღნიშნული ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცხადებულია დაცულ ტერიტორიად, თუმცა საპროექტო ტერიტორია დაცულ ტერიტორიებს არ კვეთს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფაუნა ნაირფეროვანია. ძუძუმწოვრებიდან გვხვდება ირემი, შველი, ტყისა და თეთრყელა კვერნები, წავი, მაჩვი, მგელი, მელა, იშვიათად მურა დათვი და ფოცხვერი. მრავაგანაა კავკასიური და ტელეუტური ციყვი. ფრინველებიდან აქ ბინადრობს კავკასიური როჭო, არწივი, კოდალა და სხვ. ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია ცხვირქოსანი გველგესლა, ანკარა, ბოხმეჭა და სხვა. ამფიბიებიდან - კავკასიური სალამანდრა, რამდენიმე სახეობის ტრიტონი, კავკასიური ჯვრიანა და სხვა.

იქტიოფაუნა - მდ. მტკვრის აუზის აღნიშნულ მონაკვეთზე თევზების 10-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული: კალმახი, ქაშაპი, ხრამული, ფრიტა, კობრი, მურწა და სხვა. ასევე ბევრია კიბოსნაირები, ობობები, მწერები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სოფ. ყვიბისთან საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია და ბიომრავალფეროვნების ნაირსახეობით არ გამოირჩევა.

სამშენებლო სამუშაოების დროს დაგეგმილია 2.78 ჰა-ზე ბუჩქნარისა და წვრილი ხეების გაჩეხვა-ამოძირკვა, დანართში იხილეთ მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი, სადაც მოცემულია ტერიტორიაზე არსებული სახეობები და რაოდენობები.

უწყისის მიხედვით ტერიტორიაზე გვხვდება 4 ცალი კაკლის ხე, რომელიც წითელი ნუსხით დაცული სახეობაა, თუმცა აღნიშნული ხეები ნაპირასამაგრის მოწყობისთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას და არ მოიჭრება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სხვა (ხე-მცენარეები, რომელიც არ არის წითელი ნუსხით დაცული) ხე-მცენარეების მოჭრა გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა არ მოხდება.

ნიადაგი

უმთავრესად გავრცელებულია ტყის ყომრალი და გაეწერებული ყომრალი ნიადაგები და ქვედა ზონაში ტყის ყავისფერი ნიადაგია. ტყის ზონის ზემოთ განვითარებულია მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგი.

საკვლევ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ძირითადი ლანდშაფტებია:

- მთა-ხეობათა ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარით, ჭალისა და ნაწილობრივ წიწვიანი ტყეებით, ალუვიური და ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- საშუალო მთები, მოსწორებული ზედაპირების უბნებით, წიფლის ტყითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- საშუალო მთები წიწვიან-ფოთლოვანი (ფიჭვნარ-წიფლნარ-მუქწიწვიანი) ტყეებითა და გაეწერებული ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- სუბალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგებით.

გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და შეფასება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს - სოფელ ყვიბისთან. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება იგეგმება ორ უბანზე, რაც საჭიროა მიმდებარედ არსებული რკინიგზის ლიანდაგის და საავტომობილო გზის დასაცავად. პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1039 მეტრს, ხოლო მეორე ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს.

ნაპირსამაგრის მოსაწყობად დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს: საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ადგილზე არსებული ქვა-ღორღის გამოყენებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, გაფრქვევის სტაციონალური წყაროების მონტაჟს, პროექტით გათვალისწინებული ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვების გარდა სხვა სამშენებლო მასალის შეტანას, სამშენებლო ბანაკების მოწყობას.

სამუშაოების განხორციელების შედეგად, ობიექტზე მოსალოდნელია მცირე და დროებითი უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება. პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე, მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე. საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.

სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ატმოსფერული ჰაერის უმნიშვნელო დაბინძურება და სამშენებლო ტექნიკის ხმაური, რომელიც იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის. ასევე სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური გაუმართაობის/დაუდევრობის გამო წყლის/გრუნტის დაბინძურება.

აღსანიშნავია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები გაგრძელდება ერთი წლის ვადით (ლიცენზიის შესაბამისად), ხოლო ნაპირსამაგრი მოწყობა 4 თვეში. ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის მონაკვეთში.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში საპროექტო ტერიტორიაზე არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა, ხოლო სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გამოყენებული ტექნიკა დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუშა პერსონალის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს რეგლამენტის დარღვევას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და ტექნიკის არასწორი მართვა, მუშაობა უსაფრთხოების მოთხოვნების უგულვებელყოფა), ამიტომ სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმებზე. ასევე

ზედამხედველის მიერ ინტენსიური მონიტორინგი განხორციელდება რისკების მატარებელი სამუშაოების შესრულებისას. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირებისგან.

ზემოქმედება დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან უახლოესი მანძილი საპროექტო უბანთან 120 მ-ია. აღნიშნულ მონაკვეთზე „ზურმუხტის ქსელი“ (სპეციალური კოდი - GE0000010) ზუსტად იმეორებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვარს და ანალოგიურად დაშორება საპროექტო უბანთან 120-მეტრია. დაცული ტერიტორია იწყება მდ. მტკვრის მეორე ნაპირიდან, ხოლო საპროექტო სამუშაოები განხორციელდება მდინარის მარჯვენა მხარეს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები დაცულ ტერიტორიებზე და „ზურმუხტის ქსელის“ დაცულ სახეობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს. მკვეთრი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან სამუშაოების ხანგრძლივობა მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება.



ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არქეოლოგია

საპროექტო ტერიტორიაზე ან უშუალო სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული ძეგლები არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და მისი ანთროპოგენური სახეცვლის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

სამშენებლო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

მისასვლელი გზები

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი - დროებითი მისასვლელი გზის გაყვანა, რაც აუცილებელია ფერდობის გაწმენდის დროს წარმოქმნილი ნაშალი მასის, გამხმარი ხე მცენარეების გამოზიდვის და ფლეთილი ლოდების შესატანად. ასევე, აღნიშნული გზები გამოყენებული იქნება ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დროს. შესაბამისად გზის გაყვანა მოხდება სამუშაოების დაწყებიდან, რათა მარტივად მოხდეს უზნამდე მისვლა, ხოლო წიაღის მოპოვებითი სამუშაოების პარალელურად მოხდება ნაპირსამაგრი კონსტრუქციის მოწყობა.

ნაპირსამაგრის მოწყობის მიზნით ტერიტორიაზე არსებულ ფერდობზე საჭირო გახდება 4 მეტრი სიგანის დროებითი-დამხმარე სატრანსპორტო გზის მოწყობა, რაც არ გამოიწვევს ლანდშაფტის ცვლილებას, რადგან არსებული უბანი ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია. სამუშაოების დასრულების შემდეგ არსებული გზის მოკლე მონაკვეთი (ფერდობი) აღდგება.

ტერიტორიაზე არსებული ნაშალის გაწმენდა განხორციელდება მძიმე წონიანი მუხლუხა ექსკავატორით.

ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვები შექმნილი იქნება უახლოესი კარიერებიდან.

ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს ემისიების სტაციონალური ობიექტების მონტაჟს. ასევე არ არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით მტვრის გამოყოფა, რადგან ნაპირსამაგრი ბერმისთვის საჭირო ფლეთილი ქვები მზა სახით იქნება შემოტანილი და არ მოხდება ადგილზე არსებული მასალის გამოყენება/დამუშავება.

მხოლოდ სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკის გამონაბოლქვით არის მოსალოდნელი მცირე ნეგატიური ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები დროებითია და განხორციელდება მოკლე პერიოდში, აღნიშნული მოქმედებები გარემოს ფონურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას არ მოახდენს.

მიუხედავად ამისა, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელების შემარბილებელ ღონისძიებად დაგეგმილია ტექნიკის გადაადგილების ზონაში პერიოდული და საჭიროებიდან გამომდინარე გზების მორწყვა. გზების მორწყვა მოხდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და ამინდიდან გამომდინარე.

ასევე, მტვრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ნაპირსამაგრის მოწყობისთვის საჭირო ავტოტექნიკას მოძრაობისას გადაფარებული ექნება სპეციალური დამჭერი მემბრანა, რომელიც დამაგრებული იქნება მანქანაზე და კარიერიდან მასალის გადაზიდვისას მტვრის ნაწილაკების გავრცელებას ხელს შეუშლის.

სამუშაოს დაწყებამდე ყოველდღიურად მოხდება გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ძრავების გამართულობის შემოწმება, ხოლო შესაბამისი გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული ტექნიკა.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ნაპირსამაგრის მოწყობას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ვერ ექნება გრძელვადიანი და მკაფიო ზეგავლენა.

ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

გარემოში ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე.

საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო სამშენებლო ტექნიკა იქნება, თუმცა, განსახორციელებელი სამუშაოს მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე და იმის

გათვალისწინებით, რომ სამუშაოები განხორციელდება მოკლე პერიოდში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაპირსამაგრის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული. საპროექტო ტერიტორიიდან საცხოვრებელი სახლები დაშორებულია სხვადასხვა დისტანციით, ხოლო ნაპირსამაგრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 20-25 მეტრში მდებარეობს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაპირსამაგრსა და დასახლებულ პუნქტს შორის გადის სარკინიგზო ლიანდაგი და მას პარალელურად მიუყვება საავტომობილო გზაც.

ნაპირსამაგრის ზემოქმედება დასახლებულ პუნქტზე მხოლოდ დროებითი იქნება, თუმცა მიუხედავად ამისა, დაგეგმილია მოეწყოს დროებითი დამცავი ეკრანი, რომელიც ხელს შეუშლის ხმაურის გავრცელებას უახლოესი საცხოვრებელი სახლების მიმართულებით. დროებითი დამცავი ეკრანი მაქსიმალურად იქნება მიმართული, რომ ნაპირსამაგრის მოწყობისას ხმაურის გავრცელება დაიბლოკოს და უახლოეს მოსახლე მაქსიმალურად დაცული იყოს დამატებითი ხმაურის ზემოქმედებისგან.

ნაპირსამაგრის სამუშაოების წარმოება მოხდება მხოლოდ დღის საათებში, რაც ასევე შეამცირებს რისკებს და ზემოქმედებას დასახლებულ პუნქტზე.

ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით, მოსახლეობის საჩივრების შემთხვევაში მოხდება მყისიერი რეაგირება, გარემოსდაცვითი მენეჯერის მხრიდან მოხდება შესაბამისი საჩივრის ბლანკის შევსება და ფაქტის დაფიქსირება და აუცილებლად გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტზე

ნაპირსამაგრის მოწყობის დროს არ იგეგმება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება. პირველად იწარმოებს წიაღის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომ მოეწყობა ნაპირსამაგრი. წიარის მოპოვებით სამუშაოს დაწყებამდე იქნება მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგი, რაც შემდგომ გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის, სწორედ ამიტომ ტერიტორია ნაპირსამაგრისთვის უკვე მოხსნილი ნიადაგით იქნება და არ საჭიროებს ზედმეტი ნიადაგის მოხსნის პროცედურებს.

ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების დროს ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამშენებლო ტერიტორიაზე გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების გაჟონვის შემთხვევაში, თუმცა აღნიშნული გარემოების კონტროლი შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის მკაცრი შემოწმებით. კონტროლი განხორციელდება ყოველდღიურად სამუშაოების დაწყების და დასრულების დროს.

ასევე ძალიან მცირეა შანსი რაიმე სახის დიდი ავარიული რისკების, მიუხედავად ამისა სამუშაოები განხორციელდება მკაცრი ზედამხედველობით და თუ რაიმე გაუთვალისწინებელს ექნება ადგილი აუცილებლად ეცნობება შესაბამის სამსახურებს.

ზემოქმედება ზედაპირულ წყალზე

ზედაპირული წყლის დაბინძურების ძირითადი რისკია სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა, რის გამოც შესაძლოა ნავთობპროდუქტები მოხვდეს ზედაპირულ წყალში და გამოიწვიოს წყლის გარემოს დაბინძურება.

ნაპირსამაგრის მოწყობის დროს, ასევე წყლის დაბინძურების ძირითადი რისკია ნარჩენების არასწორი მართვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირული წყლის დაბინძურება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამუშაოები არ ითვალისწინებს მდინარისთვის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენებას.

მშენებლობის პერიოდში მკაცრად გაკონტროლდება: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა, ხოლო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში განხორციელდება მათი სწორი მართვა და შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე. მკაცრი კონტროლიდან გამომდინარე საქმიანობის განხორციელებისას ზედაპირულ წყალზე უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

სამშენებლო ტექნიკას აუცილებელია ჰქონდეს გავლილი ტექდათვალიერება.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში და არ მოხდება უშუალო კონტაქტი წყალთან, რაც თავისთავად ამცირებს წყლის დაბინძურების რისკებს.

ზემოქმედება მიწისქვეშა (გრუნტის) წყალზე

ბორჯომის ხეობა განსაკუთრებით გამოირჩევა მიწისქვეშა მინერალური წყლებით, მიუხედავად ამისა საპროექტო ობიექტის ფარგლებში გრუნტის წყლების ზედაპირული გამოსავლები არ დაფიქსირებულა სავსე კვლევებისას.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში გრუნტის წყლების დაბინძურების პირდაპირი ზემოქმედების რისკები გამოიხატება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების დაღვრაში, გაუმართავი ავტო ტექნიკიდან და ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში. თუმცა გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს მხოლოდ დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებამ, რაც აუცილებელია აღკვეთილ იქნას ზედაპირიდანვე. ასევე პროექტის განხორციელების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზედაპირული წყლის და გრუნტის დაბინძურების მონიტორინგს.

ზედაპირული წყალზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, ამგვარად გრუნტის წყლების დაბინძურების რისკებიც არ არის.

ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობისათვის საჭიროა მდინარე მტკვრის კალაპოტში მუშაობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ გამოიყენება ადგილზე არსებული რესურსები და ნაპირის მოსაწყობად გამოსაყენებელი ფლეთილი ქვები ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება უახლოესი კარიერებიდან, რაც მაქსიმალურად ამცირებს სამუშაოების პერიოდს და დაბინძურების რისკებს, ხოლო საბოლოოდ კი მცირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება.

ნაპირსამაგრის მოწყობა დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში და ასევე ფლეთილი ქვების განთავსება ისე მოხდება, რომ ტექნიკას არ ექნება უშუალო კონტაქტი წყალთან, რაც თავისთავად ამცირებს წყლის ფაუნაზე უარყოფით ზემოქმედებას.

სამშენებლო სამუშაოების დროს დაგეგმილია 2.78 ჰა-ზე ბუჩქნარისა და წვრილი ხეების გაჩეხვა-ამოძირკვა. დანართში იხილეთ მერქმული რესურსის აღრიცხვის უწყისი - მოცემული სახეობებითი და რაოდენობით, ასევე საქართველოს რკინიგზისთვის გაგზავნილი წერილის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ წითელი ნუსხით დაცული სახეობების მოჭრა არ იგეგმება.

უწყისის მიხედვით ტერიტორიაზე გვხვდება 4 ცალი კაკლის ხე, რომელიც წითელი ნუსხით დაცული სახეობაა, თუმცა აღნიშნული ხეები ნაპირსამაგრის მოწყობისთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას და არ მოიჭრება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სხვა (ხე-მცენარეები, რომელიც არ არის წითელი ნუსხით დაცული) ხე-მცენარეების მოჭრა გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა არ მოხდება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხეების ჭრა დაგეგმილია სასარგებლო წიაღისულის მოპოვების დროს და არა ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის. ნაპირსამაგრის მოწყობა დაგეგმილია წიაღის მოპოვების შემდეგ. სკრინინგის ანგარიში კი ეხება მხოლოდ ნაპირსამაგ სამუშაოებს, შესაბამისად განვიხილავთ მხოლოდ იმ ზემოქმედებებს, რასაც ნაპირსამაგრის მოწყობის დროს შეიძლება იყოს.

წიაღის მოპოვება შესაბამისი ლიცენზიით და პირობებით რეგულირდება, ამიტომ ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის პროცესიც არსებული წესებით და შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოხდება. ტერიტორიის აღდგენის მიზნით, დაირგვება შესაბამისი ხე-მცენარეები და ტერიტორია მაქსიმალურად მიუახლოვდება არსებულ ლანდშაფტს.

ნარჩენების მართვა

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე - არ არის გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკების მოწყობა, ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვები მზა სახით იქნება შემოტანილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი ნაგავსაყრელი - ერთ ბორჯომში და მეორე ბაკურიანში, ამიტომ თუ საქმიანობის პროცესში მოხდება რაიმე სახის ნარჩენის წარმოიქმნება (არა სამშენებლო ნარჩენი, საყოფაცხოვრებო ნარჩენი), მაშინ ნარჩენები დროებით განთავსდება კონტეინერში და გატანილ იქნება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე, ხოლო ნარჩენების რაოდენობა სავარაუდოდ უმნიშვნელოა, რაც ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების არ საჭიროებს.

სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში, რაც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება გატანა.

ნაპირსამაგრის მოწყობის პროცესში არ არსებობს იმის რისკი, რომ წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენები. ნაპირსამაგრის მოწყობისთვის შემოტანილ იქნება მზა ბუნებრივი მასალა.

სამუშაოების დაწყების და დასრულების შემდეგ, საპროექტო ტერიტორია გასუფთავდება ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, რაც გადაეცემა შესაბამის იურიდიულ პირს, რომელსაც ექნება ნებართვა ნარჩენების გატანაზე/გაუვნებელყოფაზე.

ნაპირსამაგრის მოწყობა გაგრძელდება 4 თვე და ამ პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენი უმნიშვნელოა, შესაბამისად არ საჭიროებს ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებას.

ზემოქმედება დასახლებულ პუნქტზე

ყვიბისი — სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ე.წ. ბორჯომის ხეობაში, ქ. ბორჯომიდან 6 კილომეტრში. სოფელში ჩამოედინება მდინარე ყვიბისისწყალი (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი). 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 1527 ადამიანი.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული. საპროექტო ტერიტორიიდან საცხოვრებელი სახლები დაშორებულია სხვადასხვა დისტანციით, ხოლო ნაპირსამაგრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 20-25 მეტრში მდებარეობს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაპირსამაგრსა და დასახლებულ პუნქტს შორის გადის სარკინიგზო ლიანდაგი და თითქმის პარალელურად მიუყვება საავტომობილო გზაც.

სამუშაოების ზემოქმედება დასახლებულ პუნქტზე მხოლოდ დროებითი იქნება და მიმართულია ტერიტორიის დასაცავად და დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო დროთ და არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე.

სამუშაოების გრაფიკი და ტექნიკის ტიპები

2 ცალი - ჩამჩიანი, მუხლუხა ექსკავატორი 35 ტ. სრული მასა.

სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის ვადა დანისაზღვრება 1 წლით.

ნაპირსამაგრის მოწყობა გაგრძელდება 4 თვე.

ნაპირსამაგრი სამუშაოები იწარმოებს ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში წყალმცირობის პერიოდში -

კუმულაციური ზემოქმედება

ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დროებითია და არ არის დაგეგმილი რაიმე სახის სტაციონალური ობიექტის მშენებლობა ან მონტაჟი.

ორივე უბანზე დაგეგმილია ერთწლიანი ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღის მოპოვება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დამატებით ზემოქმედებად.

რადგან წიაღის მოპოვების პარალელურად უნდა განხორციელდეს ნაპირსამაგრი სამუშაო, ეს კუმულაციური ზემოქმედების ეფექტია.

წიაღის მოპოვება ნაპირსამაგრი სამუშაოებთან ერთად, თავად რკინიგზა და საავტომობილო გზაც ზემოქმედების ერთ-ერთი წყაროა, რაც იწვევს კუმულაციურ ზემოქმედებას უბანზე.

როგორც მოპოვებითი ისე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება აუცილებელია, ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკური მნიშვნელობისათვის, ასევე ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტის - რკინიგზის დასაცავად.

კუმულაციური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა განხორციელდეს ყველა სალიცენზიო პირობები და ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

სამუშაოების პარალელურად აუცილებელია დაწესდეს მუდმივი გარემოს მონიტორინგი უბანზე, რათა დაცული იქნას ყველა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სამუშაოები ხანგრძლივობა იქნება მოკლევადიანი და არ იქნება მუდმივი.

ზემოქმედება იქნება ლოკალური და არ გამოიწვევს რაიმე ტიპის რეგიონალურ ან მასშტაბურ ცვლილებებს.

მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის სხვა რაიმე სახის მშენებლობა და ამის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება დროებითი ხასიათისაა.

ცხრილში მოცემულია გარემოზე ზემოქმედების სახეები:

ზემოქმედების სახეები:	კი	არა	კომენტარები
კუმულაციური ზემოქმედება		x	სამუშაოს განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
ჭარბტენიან ტერიტორიას		x	არ ესაზღვრება

შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		x	არ ესაზღვრება
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		x	არ ესაზღვრება
დაცულ ტერიტორიებთან		x	არ ესაზღვრება
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		x	არ ესაზღვრება
ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		x	მიუხედავად იმისა, რომ მდინარე მტკვარი ტრანსსასაზღვრო მდინარეა, აღნიშნული პროექტს არ აქვს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება და მხოლოდ ადგილობრივი ტერიტორიის დაცვას ემსახურება
კომპლექსური ზემოქმედება		x	არ არის მოსალოდნელი ტერიტორიაზე რაიმე სახის სხვა სახის ზემოქმედება.

დასკვნა

მდინარე მტკვარის მარჯვენა ნაპირზე ნაპირსამაგრი ბერმის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი კვლევებიდან და შეფასებებიდან გამომდინარე სამუშაოებს არ აქვს ძლიერ უარყოფითი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე. ამასთან საპროექტო ნაპირსამაგრი უზრუნველყოფს საქართველოს რკინიგზის ლიანდაგის და საავტომობილო გზის უსაფრთხო ექსპლუატაციას და ასევე დასახლებული პუნქტის (სოფ. ყვიბისი) დაცვას.

რკინიგზის და საავტომობილო გზის უსაფრთხო ექსპლუატაციის მნიშვნელობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განსახორციელებელი სამუშაოები მხოლოდ დადებითი და საჭიროა, ხოლო გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება თითქმის არ არის.

წერილით წარმოდგენილი საკითხების გათვალისწინების ცხრილი

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს N 21/3584 (18/07/2022) წერილზე პასუხები (პასუხები და შესწორებები შეტანილია სკრინინგის ანგარიშში)	
შენიშვნები	პასუხები
<p>„შესავალში“ მითითებულია, რომ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ორ უბანზე იგეგმება ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება, ხოლო „სამუშაოთა მოცულობის კრებსით უწყისში“ აღნიშნულია, რომ მოეწყობა ნაპირდამცავი დამბა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;</p>	<p>მდ. მტკვრის ნაპირზე (ორივე უბანზე) დაგეგმილია ქვანაყარი ბერმის მოწყობა (ფლეთილი ქვებისგან აგებული ქვანაყარი ბერმა).</p>
<p>„ნაპირსამაგრის საპროექტო მახასიათებლების“ თავში მითითებულია, რომ პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1027 მეტრს, ხოლო მეორე უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე - 322 მეტრს. ამასთან, „განმარტებითი ბარათში“ აღნიშნულია, რომ პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ხოლო მეორე უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე - 1039 მეტრს. შესაბამისად, დასაზუსტებელია თითოეულ უბანზე გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე;</p>	<p>მდ. მტკვრის პირველი ავარიული უბნის სიგრძე შეადგენს 1027 მეტრს, ხოლო მეორე ავარიული უბნის სიგრძე შეადგენს 329 მეტრს. განმარტებით ბარათში წარმოდგენილი პირველი (1039 მეტრი) და მეორე (351 მეტრი) უბნის ნაგებობის სიგრძეები მოცემულია ჩამკეტებით, შესაბამისად საბოლოო სიგრძეებია: პირველი უბანი - 351 მ მეორე უბანი - 1039 მ</p>
<p>„კონსტრუქციული ნაწილის“ თავში წარმოდგენილი ორივე უბნის GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას</p>	<p>ორივე უბნის GPS კოორდინატები გადამოწმდა და რჩება იგივე რაც მოცემულია კონსტრუქციულ ნაწილში.</p>
<p>„გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და შეფასების“ თავში აღნიშნულია, რომ ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები განხორციელება ერთი წლის</p>	<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები გაგრძელდება ერთი წლის ვადით (ლიცენზიის შესაბამისად), ხოლო ნაპირსამაგრი მოწყობა 4 თვეში.</p>

<p>განმავლობაში, ხოლო „განმარტებით ბარათში“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 4 თვე. შესაბამისად, დასაზუსტებელია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა;</p>	<p>ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის მონაკვეთში.</p>
<p>„ბიომრავალფეროვნების“ თავში მითითებულია, რომ სამშენებლო სამუშაოების დროს ხე-მცენარეების მოჭრა არ იგეგმება, ხოლო „განმარტებით ბარათში“ აღნიშნულია, რომ მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე მოხდება ბუჩქნარისა და წვრილი ხეების გაჩეხა-ამოძირკვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია (სახეობებისა და რაოდენობების მითითებით);</p>	<p>დანართში იხილეთ მერქმული რესურსის აღრიცხვის უწყისი - მოცემული სახეობებითი და რაოდენობით, ასევე საქართველოს რკინიგზისთვის გაგზავნილი წერილის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ წითელი ნუსხით დაცული სახეობების მოჭრა არ იგეგმება.</p> <p>გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხეების ჭრა დაგეგმილია სასარგებლო წიაღისულის მოპოვების დროს და არა ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის.</p> <p>ნაპირსამაგრის მოწყობა დაგეგმილია წიაღის მოპოვების შემდეგ. სკრინინგის ანგარიში კი ეხება მხოლოდ ნაპირსამაგ სამუშაოებს, შესაბამისად განვიხილავთ მხოლოდ იმ ზემოქმედებებს, რასაც ნაპირსამაგრის მოწყობის დროს შეიძლება იყოს.</p> <p>წიაღის მოპოვება შესაბამისი ლიცენზიით და პირბებით რეგულირდება, ამიტომ ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის პროცესიც არსებული წესებით და შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოხდება.</p>
<p>დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და მართვის შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>სამუშაოების დაწყების და დასრულების შემდეგ, საპროექტო ტერიტორია გასუფთავდება ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, რაც გადაეცემა შესაბამის იურიდიულ პირს,</p>

	<p>რომელსაც ექნება ნებართვა ნარჩენების გატანაზე/გაუვნებელყოფაზე.</p> <p>ნაპირსამაგრის მოწყობა გაგრძელდება 4 თვე და ამ პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენი იქნება უმნიშვნელო (ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენი), შესაბამისად აღნიშნული პროექტისთვის არ არის საჭირო ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება.</p>
<p>სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია (ტიპებისა და რაოდენობების მითითებით);</p>	<p>2 ცალი - ჩამჩიანი, მუხლუხა ექსკავატორი 35 ტ. სრული მასა.</p>
<p>დოკუმენტში, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით (20-22 მ), მოცემული უნდა იყოს ხმაურისა და მტვრის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები</p>	<p>იხ. ქვეთავი „ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე“ და ქვეთავი: „ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება“</p>

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები. საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის СНиП 1.02.07-87. ოფიციალური გამოცემა. მოსკოვი. 1988 წ.
2. სამშენებლო ნორმები და წესები. შენობა-ნაგებობების ფუძეები СНиП 2.02.01-85. ოფიციალური გამოცემა. მოსკოვი. 1985 წ.
3. სამშენებლო ნორმები და წესები. მიწის სამუშაოები. #1 კრებული СНиП IV-5-82. მოსკოვი. 1982 წ.
4. სახელმწიფო სტანდარტი. გრუნტები. კლასიფიკაცია. ГОСТ 25200-82. მოსკოვი. 1982 წ.
5. სამშენებლო ნორმები და წესები. „შენობა-ნაგებობების ფუძეები“. პნ 02.01-08. თბილისი. 2008 წ.
6. სამშენებლო ნორმები და წესები. „სეისმომდეგი მშენებლობა“. პნ 01.01-09. თბილისი. 2009 წ.
7. სამშენებლო ნორმები და წესები. „სამშენებლო კლიმატოლოგია.“ პნ 01.05-08. თბილისი. 2008 წ.
8. რ. გობეჯიშვილი „საქართველოს რელიეფი“ თბილისი 2011 წ.
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი, ხაშურის ფურცელის (K-38-XX) გეოლოგიური ანგარიში მასშტაბი 1:200 000. თბილისი 2017 წელი.
10. Папова Д.Ю., Девдариани Е.И., Агеев В.П. Результаты геолого-съёмочных работ «Структурного бурения в пределах восточного погружения Аджара-Триалетской складчатой системы. Фонды “Грузгеология“. 1970.
11. სსრკ გეოლოგია. ტომი X. საქართველოს სსრ. ნაწილი I. გეოლოგიური აღწერა. მოსკოვი 1964წ.
12. Л.А.Владимиров, Д.И.Шакаришвили, Т.И.Габричидзе ”Водный баланс Грузии” მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1974 წ;
13. Основные Гидрологические характеристики том 9 Закавказия и Дагестан выпуск 1 (1967 წ,1977 წ ,1978 წ, 1987 წ);

14. "Ресурсы поверхност вод СССР" Том 9 Ленинград 1969 г. ნ. ხმალაძის რედაქციით;
15. "Ресурсы поверхност вод СССР" Том 9 Ленинград 1974 ვ. შ. ცომაიას რედაქციით;
16. "Выносы наносов реками черноморского побережья кавказа" Гидрометеоиздат Ленинград 1978;
17. ჰიდროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრის სახელმძღვანელო - пособие по определению расчетных гидрологических характеристик, ленинград гидрометеоиздат 1984.
18. გეოინფორმაციული სისტემები GIS;
19. 1 : 25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა;

დანართები

სალიცენზიო დოკუმენტაცია

საპროექტო დოკუმენტაცია

მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი

რკინიგზისთვის გაგზავნილი წერილი

შეიკ-ფაილები



შ.პ.ს „პროჯექტ კომპანი“

პორტომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის სარკინიგზო ხაზის 1.4 კმ-იანი მონაკვეთის სანაპირსამაგრი სამუშაოები

საპროექტო დოკუმენტაცია

თბილისი 2020 წ.

შ.პ.ს „პროჯექტ კომპანი“

გორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის სარკინიგზო ხაზის 1.4 კმ-იანი მონაკვეთის ნაკრესამაბრი სამუშაოები

საპროექტო დოკუმენტაცია

შ. ს „პროჯექტ კომპანი“-ს
დირექტორი

ბ. აბდელანი

მთავარი ინჟინერი

ლ. ჩილოჩავა

თბილისი 2020 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. განმარტებითი ბარათი

2. უწყისები

- _ მიწის სამუშაოების მოცულობების პიკეტური უწყისი
- _ ძირითადი სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საჭირო რაოდენობათა უწყისი
- _ სამუშაოთა მოცულობების კრებსითი უწყისი
- _ სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი

3. ნახაზები

1. ადგილმდებარეობის რუქა
2. სიტუაციური გეგმა
3. განივი პროფილები

განმარტვბიტი გარათი

განმარტებითი ბარათი

შესავალი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის სარკინიგზო ხაზის 1.4 კმ-იანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „პროექტ კომპანი“-ს მიერ, შ.პ.ს „ემენუკა“-სთან 2020 წლის 11 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების და ტექნიკური დავალების საფუძველზე.

გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი საველე მასალები (ობიექტის ტოპოგრაფიული აგეგმვა, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები და მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური ანგარიში) საპროექტო ორგანიზაციას გადასცა დამკვეთმა.

დავალების თანახმად შპს „პროექტ კომპანი“-ს სპეციალისტების მიერ ადგილზე დათვალიერებულ და აღწერილ იქნა საპროექტო ობიექტი რის შემდეგაც განხორციელებული იქნა საპროექტო ობიექტის დამატებითი ტოპოგრაფიული მუშაობები.

პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამკვეთის მოთხოვნები და სათანადო რეკომენდაციები.

საძიებო ობიექტი აგეგმილია Leica Total station-ით UTM WGS-84 კოორდინატთა სისტემაში, რის საფუძველზეც დაფიქსირებული იქნა რელიეფის მახასიათებელი წერტილების კოორდინატები და სიმაღლე ზღვის დონიდან, დამაგრებული იქნა რეპერები აბსოლიტური ნიშნულებით მაღალი სიზუსტის GPS-ით, GEO CORS-ის სისტემასთან თავსებადობით. დეტალურად იქნა დაფიქსირებული გამოვლენილი დაზიანებები და დეფორმაციები, გაანალიზებული იქნა მისი გამომწვევი მიზეზები.

მონაცემების კამერალურად დამუშავებისას გამოყენებული იქნა ავტომატიზირებული პროექტირების სისტემა Robur Road-8.3

საველე მასალებზე დაყრდნობით კამერალურად განსაზღვრული იქნა სამუშაოების სახეობები და მოცულობები, დამუშავებული იქნა ნაპირდამცავი ნაგებობის გეგმა, გრძივი პროფილი და განივი კვეთები, ნაგებობის კონსტრუქციული ტიპები და სხვა.

გეომორფოლოგია


გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (ბორჯომის ხეობის), საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, აღმავალი მოძრაობებით განვითარებული მესამეული ვულკანოგენური წყებების ნაოჭა სტრუქტურებზე.

ბორჯომის ხეობა რთულ ანტიცედენტურ ხეობას წარმოადგენს, კარგად გამოხატული V-სებური პროფილით, ფერდობები ეროზიული ხეობით და ტერასებით არის გართულებული, რომლიც გეოლოგიურად აგებულია შუა ეოცენური წყებებით, ძირითადად ბაზალტური შემადგენლობის შრეებრივი ჭრელი ტუფების, არგილიტების, კირქვების და მერგელების მორიგეობა. აგრეთვე ბაზალტების, ანდეზიტების, ტრაქიტების მასიური და სქელშრეებრივი ვულკანური ბრექჩიებით, ტუფებით და ტუფ-კონგლომერატები. ხეობის ფერდობები დანაწევრებულია აჭარა-იმერეთის და თრიალეთის ქედებიდან ჩამომდინარე ხეობებით.

უშუალოდ საკვლევი უბნები განლაგებულია მდ. მტკვრის მარჯვენა I ტერასაზე, რომლის აბსოლუტური სიმაღლე მერყობს 768-781 მეტრის ფარგლებში, რელიეფის ზედაპირი ბორცვოვან-საფეხურებრივია. მდ. მტკვრის ჭალა-კალაპოტის მიმართულებით ბექობზე იზრდება ფერდობის დახრის კუთხე 35⁰-მდე. მდ. მტკვრის ჭალა-კალაპოტის გასწვრივ კარგად დაიკვირვება ლოკალური გვერდითი ეროზიის უბნები და ნაწილობრივ დაზიანებული ნაპირსამაგრი ბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც საჭიროებენ დროულად პრევენციული ღონისძიებების გატარებას წინააღმდეგ შემთხვევაში, გვერდითი ეროზიის შედეგად შესაძლოა დაზიანდეს რკინიგზის ვაკისი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რკინიგზის ვაკისიდან მდ. მტკვრის ჭალა-კალაპოტამდე არსებული ტერიტორია დაფარულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და ახალგაზრდა ხე-მცენარეებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თრიალეთის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტულ წყალწნევიანი სისტემას.



აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თრიალეთის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტულ წყალწნევიანი სისტემა

მასივი აგებულია ძირითადად შუა ეოცენური ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით (სისქე 3 კმ-მდე), რომელთაც ქვეშ უდევს ქვედა ეოცენურ-პალეოცენური ფლიშური ნალექები და ვულკანოგენური წარმონაქმნები (სისქე 1.5კმ-მდე) და ზედა ცარცული კირქვების, მერგლებისა და ვულკანოგენური წარმონაქმნების სიზრქე (სისქე 1კმ-მდე). აღნიშნული მასივის ფარგლებში გავრცელებული გრუნტის წყლები დაკავშირებულია გამოფიტვის ზონის ნაპრალებთან და ფოროვან დელუვიურ-ელუვიურ და ალუვიურ წარმონაქმნებთან.

ფოროვანი ტიპის გრუნტის წყლები გავრცელებულია მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ქალაქის ქვიშიან-ხვინჭიან წარმონაქმნებში, რომლებშიც ფორმირდება სუსტად მინერალიზებული HCO_3-Ca -იანი წყლების მძლავრი ნაკადები. ფოროვანი გრუნტის წყლები წყვეტილადაა გავრცელებული დელუვიურ-პროლუვიურ წარმონაქმნებში, რომლებიც განვითარებულია ძირითადად შუა ეოცენურ ვულკანოგენებში. უნდა აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები შეადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგების რესურსს.

წყაროების დებიტები ჩვეულებრივ დაბალია, უმეტესად 0.5 ლ/წმ-ზე ნაკლები; საერთო მინერალიზაცია 0.2-0.4 გ/ლ. დანაოჭების პროცესების შემოქმედებისა და წყვეტილი რღვევების ხშირი ქსელის წყალობით ადმასივის ქანების კომპლექსს ახასიათებს ღრმად გამსჭვალავი ტექტონიკური ნაპრალები და რღვევები. ამის შედეგად წყებების უმეტესობას, განსაკუთრებით შუა ეოცენურ ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებს აქვს კარგი წყალგამტარობა, რაც ხელს უწყობს ღრმა ცირკულაციის ჰიდროგეოლოგიური ზონის წყლების ზედაპირამდე ამოღინებას.


გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000 წ.) საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აბასთუმან-ბოშურის ქვეზონას.

აჭარა-თრიალეთის ტექტონიკური ზონა წარმოადგენს მკვეთრად განსხვავებულ სტრუქტურულ-მორფოლოგიურ ერთეულს, რომელიც განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში და მერიდიანული მიმართულებით გავრცელებულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროდან აღმოსავლეთით მდ. იორის შუა დინებამდე. ეს მეგასტრუქტურა, თანამედროვე სტრუქტურულ-მორფოლოგიური ხასიათით წარმოადგენს ანტიკლინურ ნაგებობას მკვეთრად განსხვავებული შიგა პლიკატიურ-დიზუნქტიური აგებულებით და ლითოლოგიურ-ფორმაციული შემადგენლობით.

საკვლევი ტერიტორია სტრატეგრაფიული თვალსაზრისით წარმოდგენილია პალეოცენის ფლიშური ფორმაციებით და ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით ანდეზიტ-ბაზალტების შედგენილობის ლითოკლასტური ტუფებით, ტუფქვიშაქვებით,

მიკროტუფბრექჩიებით, ტუფიტებით, ქვიშაქვებით, მერგლებით, არგილიტებით და შედარებით სქელშრებრივი პიროკლასტოლითებით.




ქვედა ეოცენის ასაკის არგილიტები, მერგლები, მერგლოვანი კირქვები, თიხები და ქვიშაქვების მორიგეობა

შემოთ აღწერილი ნალექები ზედა ტუსრების ნალექებზე თანხმობით არის განლაგებული და მათ შორის გადასვლა თანდათანობითია. ამ ჰორიზონტის საგების საზღვარი გადის ზედა ტუსრების შრეების თხელშრებრივ მერგლებსა და კარბონატულ ალევროლიტებზე, რომლებიც ზევიდან გადაფარულია სხვადასხვა სიძლავრისა და ლითოლოგიური შედგენილობის დელუვიური, ალუვიური, პროლუვიური და ტექნოგენური გრუნტებით.

სეისმური პირობები

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიბისი განთავსებულია 8 ბალიან (MSK64) სეისმურ ზონაში (პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"), ხოლო ამგები გრუნტები ამავე დოკუმენტის #1 ცხრილით სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

ნახაზიდან გამომდინარე მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობაა 8 ბალი - $A=0.20$ სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი.



საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა

საშიში გეოლინამიკური მოვლენები

სარეკონსტრუქციო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოლინამიკური პროცესების მიერ ჩამოყალიბებული ან გართულებული რელიეფის ფორმები არ აღინიშნება და ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკვლევი ტერიტორიაზე ლოკალურად ფიქსირდება მდ. მტკვრის გვერდითი ეროზიის შედეგად გამორეცხილი უბნები და ნაწილობრივ დაზიანებული ფერდობსამაგრი ნაგებობები (ბეტონის კედლები), რომლებიც საფრთხეს უქმნის სარკინიგზო ხაზის უსაფრთხო ექსპლუატაციას. შესაბამისად გვერდითი ეროზიის პრევენციის მიზნით საჭიროა (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), საკვლევი ტერიტორიის გასწვრივ დეტალური ჰიდროლოგიური კვლევების საფუძველზე დაიგეგმოს და მოეწყოს ახალი ნაპირსამაგრის ნაგებობა.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორია მთლიანობაში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

გამოკვლეული უბანი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყვიბისში მდ. მტკვრის მარჯვენა პირველ ტერასაზე, ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია ქვედა ეოცენის (E1) ასაკის ქვიშაქვებით და მეოთხეული ასაკის ალუვიური (alQIV) ნალექებით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარულია სილიკომანგანუმის ტექნოგენური შრით.

სავალე მასალების, ლაბორატორიული კვლევების და საფონდო მასალების განზოგადებით საკვლევი უბანზე გამოიყოფა ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი – სგე #1- სილიკომანგანუმის ტექნოგენური გრუნტი tQIV და სგე #2- კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებლით-alQIV რომელთა დახასიათებაც მოცემულია ქვემოთ:

სგე #1 სილიკომანგანუმის ტექნოგენური გრუნტი (tQIV), გავრცელებულია გამოკვლეულ უბნებზე უწყვეტად, მისი სიმძლავრე 0-3,0 მეტრია, იგი წარმოდგენილია შავი და მუქი მწვანე შეფერილობის ნაკლებ დამუშავებული ლოდნარ-ლორდნაროვანი ფრაქციით.

ტექნოგენური გრუნტიდან აღებულ ნიმუშებზე აკრედიტირებულ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში განისაზღვრა ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, რომელთა შედეგებიც შემდეგია:

ბუნებრივი სიმკვრივე $\rho = 3.10$ გ/სმ³;

შინაგანი ხახუნის კუთხე $\phi = 280$;

ხვედრითი შეჭიდულება $C = 0.20$ კგდ/სმ²;

დეფორმაციის მოდული $E = 300$ კგდ/სმ²;

სიმტკიცე ერთდერდა კუმშვაზე R_c :

ბუნებრივ მდგომარეობაში $= 675$ კგდ/სმ²;

წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $= 558$ კგდ/სმ²;

დარბილების კოეფიციენტი $K_{sof} = 0.83$;

დამუშავების კატეგორია § 40-გ, IV კატეგორია;

სგე #2 კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებლით (alQIV) ზედაპირიდან მეორეა და გავრცელებულია მთელ მოედანზე უწყვეტად. აღნიშნული გრუნტები უმეტესწილად წარმოდგენილია ნახევრადუხემად და კარგად დამუშავებულ მომრგვალებული და ნაკლებ მომრგვალებული კაჭარ-კენჭნარით ქვიშის შემავსებლით. ჭრილში აღნიშნული მასალა ერთმანეთში მჭიროდაა ჩაწყობილი, ხოლო დამუშავების ხარისხი არაერთგვაროვანია.

ნატეხი მასალა პეტროგრაფიულად შედგება ინტრუზიული და მეტამორფული ქანების მკვრივი და მტკიცე სახესხვაობებისგან.

სავალე და ლაბორატორიულ პირობებში განხორციელდა ლორდნარის სიმკვრივის და გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრა. ბუნებრივმა სიმკვრივემ შეადგინა 2.07 გ/სმ³, ხოლო გრანულომეტრიული შემადგენლობა ფრაქციების მიხედვით მოყვანილია #1 ცხრილში.

ცხრილი #1

ნაწილაკების ზომა	>200	200-100	100-50	50-20	20-10	10-2	<2
ნაწილაკების %-ული შემადგენლობა	20	17	5.7	20.5	11.2	11.1	14.5

25100-82 სახსტანდარტის (გრუნტების კვალიფიკაცია) #2 ცხრილის მიხედვით ფენა #2

წარმოადგენს კაჭარ-კენჭნაროვან გრუნტს, ქვიშის შემავსებლით.

ს.ნ. და წ. 2.02.01-83 პუნქტი 2.16-ის თანახმად II და III კლასის ნაგებობის ფუძე-საძირკვლების გაანგარიშებისათვის დასაშვებია გრუნტის სიმტკიცითი და დეფორმაციული მახასიათებლის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების განსაზღვრა მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით. რადგან დასაპროექტებელი ნაგებობა მიეკუთვნება III კლასს კაჭარ-კენჭნაროვანი გრუნტის მახასიათებლები აღებულია ლაბორატორილი მონაცემებიდან და ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ის დანართების ცხრილებიდან, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ:

ბუნებრივი ტენიანობა $W_0=3.9$;

ტენიანობის ხარისხი $S_r=0.324$;

ფორიანობა $n_0=24.0$;

ფორიანობის კოეფიციენტი $e=0.315$;

შინაგანი ხახუნის კუთხე $\phi=35^\circ$;

ხვედრითი შეჭიდულება $C=0.1$ კგდ/სმ²;

დეფორმაციის მოდული $E=500$ კგდ/სმ²,

საანგარიშო წინაღობა $R_0=5.0$ კგდ/სმ².

დამუშავების კატეგორია § 6-ბ, III კატეგორია;

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშენებლო თვისებების მხრივ საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.), რომლიც შეესაბამება გამოყოფილ ფენას.

I. ს.გ.ე. – მეოთხეული ასაკის საფარი ქანები – კაჭარ-კენჭნარი გრუნტი, ქვიშის შემავსებლით (ფენა #2).

კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

კლიმატური თვალსაზრისით საკვლევ ტერიტორია ხასიათდება ნოტიო ჰავით - მოკლე, შედარებით თბილი ზაფხულითა და ცივი ზამთარით. (სამშენებლო-კლიმატური დარაიონების მიხედვით - II ბ ქვერაიონი). ცალკეული კლიმატური ელემენტები მოცემულია ამავე კლიმატურ-ლანდშაფტურ ზონაში მყოფი, უახლოესი ბორჯომის მეტეო სადგურის (ს.ნ. და წ. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია) ცხრილების და სხვა გამოცემული მეტეოროლოგიური მონაცემების გამოყენებით.

ცხრილი-1. კლიმატური ქვერაიონის ძირითადი მახასიათებლები

კლიმატი		იანვრის საშუალო ტემპერატურა °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა %
რაიონი	ქვე-რაიონი				
II	II ბ	-2-დან -5-მდე	-	+21-დან +25-მდე	70

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა არის +9.1°C, ყველაზე ცივი თვის-იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა არის -2.1°C, ყველაზე ცხელის-აგვისტოსი კი +20.1 °C ამავე თვეების აბსოლუტური მინიმუმია -28 °C, აბსოლუტური მაქსიმუმი კი +37 °C. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა არის 77%. ყველაზე ცივი იანვრის თვის-78%, ყველაზე ცხელი-აგვისტოს თვის-73%. აბსოლუტური მინიმუმი არის აგვისტოში -73%, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი-ნოემბერში-83% ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 653 მმ-ია, ყველაზე ნაკლებ ნალექიან თვედ ითვლება იანვარი – 40მმ, ხოლო მეტ ნალექიანად ივნისი – 98მმ, ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი 61 მმ-ია.

ცხრილი-2 ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა.

#	კლიმატური მახასიათებელი	თვეების მიხედვით												წლიურ ი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	ჰაერის საშ. თვიური და წლიური - t°C	- 2.1	- 0.3	3. 0	8. 4	13. 6	16. 8	19. 8	20. 1	15. 8	10. 2	4. 5	0.0	9.1
2	აბსოლუტური მინიმუმი - t°C	- 28												
3	აბსოლუტური მაქსიმუმი - t°C	37												
4	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი- t°C	27												
5	ჰაერის ტემპერატურის საშუალო ამბლიტუდა t° C	- 11												
6	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	78	78	77	74	76	76	74	73	77	80	83	80	77

ცხრილი-3 ნალექების რაოდენობა და თოვლის საფარი

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
653	61	0.50	67	54

ცხრილი-3 ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები.

W ₀ 5 წელიწადში ერთხელ, კვა	W ₀ 15 წელიწადში ერთხელ, კვა
0,17	0,30

ცხრილი-4 ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ.

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
13	17	19	21	23

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმეა: თიხოვანი გრუნტებისათვის - 39სმ, მტკროვანი და წვრილი ქვიშებისათვის - 47სმ, საშუალო, მსხვილი და ხრეშისებური ქვიშებისათვის - 51 სმ, მსხვილნატეხოვანი გრუნტებისათვის - 58 სმ.

ჰიდროლოგია

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ზედაპირული წყლები მხოლოდ ხშირი წვიმების ან თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით, რომლებიც მთლიანობაში ფართობულ ხასიათს ატარებენ და მაშინვე ხდება ატმოსფერული წყლების თითქმის მთლიანი ნაწილის უშუალო ინფილტრაცია ფერდობის ამგებელ გრუნტებში ან განიტვირთება მდ. მტკვარში.

მდინარე მტკვრის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

მდინარე მტკვარი, სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე, სათავეს იღებს თურქეთში, მთა ყიზილ-გიადიკის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებული წყაროებიდან 2720 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მდინარის მთლიანი სიგრძე 1364 კმ-ს შეადგენს, წყალშემკრები აუზის ფართობი 188 000 კმ²-ია. საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის სიგრძე 351 კმ-ია. ამ მონაკვეთში მდინარის ჰიდროგრაფიული ქსელი შედგება 12 211 მდინარისაგან, რომელთა ჯამური სიგრძე 35 465 კმ-ს შეადგენს. მათ შორის ძირითადი შენაკადებია : ფოცხოვი (სიგრძით 64 კმ), დიდი ლიახვი (98კმ), თეძამი (51 კმ), ქსანი (84 კმ), არაგვი (66კმ), ალგეთი (108 კმ) და ქცია-ხრამი (201 კმ). მდ. მტკვრის წყალშემკრები აუზს რთული ოროგრაფია აქვს, გამოირჩევა მძლავრი მთიანი სისტემით, საშუალო სიმაღლით 3000-4000 მ და ციცაბო ფერდობებით. აუზი მოიცავს 7,2 კმ² ფართობს გამყინვარების ზონას და სხვადასხვა წარმოშობის 60 ტბას საერთო ფართობით 136კმ².

აუზის ზემო ნაწილის გეოლოგია წარმოდგენილია ვულკანური წარმოშობის ქანებით. მთისწინეთის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ პალეოზოური, იურული და ცარცული ასაკის ქვიშაქვები და ეოცენური თიხები. ქართლი ველის გეოლოგია ძველი და თანამედროვე ალუვიური ნალექებით არის წარმოდგენილი. დაბლობზე, მდინარის გასწვრივ გავრცელებულია ყავისფერი და

შავმიწა ნიადაგები. აუზის მცენარეული საფარი 2500 მეტრზე ზემოთ წარმოდგენილია ალპური მცენარეულობით, რომლის ქვემოთ გავრცელებულია სუბალპური მცენარეულობის ფართო ზოლი. მთისწინეთში გავრცელებულია შერეული ტყე, სადაც ჭარბობს ფოთლოვანი ჯიშები. ქართლის დაბლობი ძირითადად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობის ფორმა იცვლება მთელ სიგრძეზე. სახელმწიფო საზღვართან ხეობა ღრმად არის ჩაჭრილი მიმდებარე მთებს შორის, სოფელ მინაძის ზემოთ, იგი იღებს ყუთისმაგვარ ფორმას, სოფ. მინაძის ქვემოთ ხეობა კანიონისებურია, რომელიც სოფ. ჩეჩრეკის ქვემოთ განიერდება. სოფელ აწყურიდან სოფ. ტაშისკარამდე მდინარე მიედინება ბორჯომის ხეობაში, სოფ. ტაშისკარის ქვემოთ, კი გადის შიდა ქართლის ვაკეზე, სადაც მდინარის ხეობა იღებს კარგად ჩამოყალიბებულ ყუთისმაგვარ ფორმას. სოფელ ძეგვთან მდინარის ხეობა კვლავ იღებს კანიონის ფორმას, რომელიც გრძელდება 8 კმ-ს სიგრძეზე. ძეგვის კანიონის ქვემოთ მდინარის ხეობა განივრდება და დიდუბემდე გადის დიდმის ვაკეზე, სადაც მარცხენა ფერდობი დაცილებულია წყლის ნაპირიდან 1,5-2 კმ-ზე, მარჯვენა კი 3-4 კმ-ზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარე გაედინება ღრმად ჩაჭრილ კალაპოტში. მისი ტერასების სიგანე 150-350 მეტრია. ტერასების მოსწორებული ზედაპირი აგებულია ალუვიური დანალექებით. ამ მონაკვეთზე მდინარეს გააჩნია უმნიშვნელო ჭალა. მდინარე მტკვრის აუზს ასიმეტრიული ფორმა გააჩნია და საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს მთავარი კავკასიონის ქედს, სომხეთ-ჯავახეთის მთიანეთს და მთათა შორის ტექტონიკურ დაბლობს. მისი წყალგამყოფის ნიშნულები 2700-3000 მეტრიდან (კავკასიონის ქედზე) აღმოსავლეთით დაბლდება 200-250 მეტრამდე (აზერბაიჯანის საზღვრისაკენ). აუზის ყველაზე დაბალ ნაწილს მთათაშორისი დაბლობი წარმოადგენს, რომელსაც ქართლის დაბლობი (შიდა ქართლის ვაკე) ეწოდება.

აუზის ზემო ნაწილის გეოლოგია წარმოდგენილია ვულკანური წარმოშობის ქანებით. მთისწინეთის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ პალეოზოური, იურული და ცარცული ასაკის ქვიშაქვები და ეოცენური თიხები. ქართლის ველის გეოლოგია ძველი და თანამედროვე ალუვიური ნალექებით არის წარმოდგენილი. დაბლობზე, მდინარის გასწვრივ გავრცელებულია ყავისფერი და შავმიწა ნიადაგები. აუზის მცენარეული საფარი 2500 მეტრზე ზემოთ წარმოდგენილია ალპური მცენარეულობით, რომლის ქვემოთ გავრცელებულია სუბალპური მცენარეულობის ფართო ზოლი. მთისწინეთში გავრცელებულია შერეული ტყე სადაც ჭარბობს ფოთლოვანი ჯიშები. ქართლის დაბლობი ძირითადად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარე საზრდოოს მყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება სეზონური თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით, ზაფხულისა და ზამთრის შედარებით მდგრადი წყალმცირობით. ყველაზე წყალუხვ პერიოდად ითვლება გაზაფხული, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 47-58 %. ზაფხულის ჩამონადენი შეადგენს 22-27 % -ს და აჭარბებს როგორც შემოდგომის, ასევე ზამთრის ჩამონადენს. ცალკეულ წლებში, გაზაფხულის წყალდიდობას ემთხვევა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები რაც იწვევს წყლის დონის კატასტროფულ აწევას. აღნიშნულის მაგალითია 1968 წლის 18 აპრილის წყალდიდობა, როდესაც ქ. თბილისში წყლის მაქსიმალურმა დონემ, წყალმცირების დონესთან შედარებით 7-9 მეტრით აიწია. ასევე 1968 წლის 18 აპრილს, წყალდიდობისას წყლის მაქსიმალურმა დონემ წყალმცირების დონესთან შედარებით 5-6 მეტრით აიწია.

წყლის მინიმალური დონეები და ხარჯები ძირითადად ზამთრის თვეებში ფიქსირდება. ამ პერიოდში აღნიშნული ყინულოვანი მოვლენები არამდგრადია. ყინულოვან დღეთა საშუალო

რიცხვი ლიკანთან 34 დღეს, ახალდაბასან 36 დღეს, ხოლო ახალდაბის ქვემოთ რიცხვი 63 დღეს არ აღემატება და საშუალოდ 8-14 დღეს შეადგენს.

მდინარე მტკვარი ფართოდ გამოიყენება ირიგაციული, ენერგეტიკული და სამრეწველო წყალმომარაგების მიზნებისთვის. ქალაქ რუსთავის ზემოთ მოწყობილი სათავე ნაგებობით წყალს ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით იღებს გარდაბნის სარწყავი სისტემა და გარდაბნის თბოელექტრო სადგური. ასევე მდინარე მტკვარზე ფუნქციონირებს ზაჰესის და ორთაჭალჰესი.

მდ. მტკვრის წყლის რეჟიმი შეისწავლება 1904 წლიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურებისა და თბილისის ჰიდროპროექტის მიერ. გარკვეული წლების განმავლობაში მდინარის წყალის რეჟიმზე დაკვირვება ხდებოდა 28 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე, რომელიც მოიცავდა მდინარის მონაკვეთს მინგეჩაურის წყალსაცავამდე.

მდ. მტკვრის ჩამონადენს საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად განსაზღვრავს ისეთი ძირითადი შენაკადები, როგორცაა მდინარეები: ფარავანი, ფოცხოვი, სურამულა, დიდი ლიახვი, ქსანი, არაგვი, ქცია. მდ. მტკვარზე დღეისათვის მოქმედებს 4 ჰიდროლოგიური საგუშაგო სოფ. მირაშხანი, სოფ. ხერთვისი, სოფ. ლიკანი ქ. თბილისი. დაკვირვება წარმოებდა მდინარის წყლის დონეზე, ხარჯზე, სიმღვრივეზე, ტემპერატურაზე, ნატან მასალაზე, ხდებოდა წყლის წლიური ჩამონადენისა და მყარი ნატანის გაანგარიშება.

მრავალწლიური დაკვირვების ინფორმაციის საფუძველზე მოცემულია მდინარე მტკვარის წყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯები: 1- მდ. მტკვრისთვის მრავალწლიური მახასიათებლებია მრავალწლიური საშუალო ხარჯი სოფ. ხერთვისი 32.4 მ³/წმ; წლიური საშუალო ჩამონადენი 1.02 კმ³; მყარი ნატანი 396.0 კგ/ წმ; წლიური მყარი ნატანი 120 000ტ. 2 - დაბა ლიკანი საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯი 83.6 მ³/წმ; საშუალო ჩამონადენი 2.64 კმ³; მყარი ნატანი 38 კმ³/წმ; წლიური- 1.2 მლნ. ტ. 3 - ქალაქ თბილისთან კი შესაბამისად წყლის 204 მ³/წმ; 6.43 კმ³; მყარი 236 კმ³/წმ; 7,6 მლნ. ტ. მრავალწლიური დაკვირვებების ინფორმაციით გავლილი მაქსიმალურმა წყლის ხარჯმა მდ. მტკვარზე შეადგინა 1968 წლის 18-19 აპრილს სოფ. ხერთვისთან 742 მ³/წმ, 18.04.1968 - დაბა ლიკანთან 1520 მ³/წმ, 18.04.1968 - ქ. თბილისთან 2450 მ³/წმ, 19.04.1968 - შესაბამისად წყლის დონემ მიაღწია 722 სმ, საპროექტო ანუ დაკვირვების კვეთში (მუშტაიდის ბადის მიმდებარედ) წყლის დონე იყო 402.44 მ. მდ. მტკვარზე ჩამკეტ ჰიდროლოგიურ საგუშაგოს კვეთში სოფ. ხულუფთან (მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) გავლილმა მაქსიმალურმა ხარჯმა 1968 წლის 21 აპრილს შეადგინა 2720 მ³/წმ-ში.

საკვლევი ტერიტორია ავარიული უბნები მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყვიბისის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე წყალდიდობის პერიოდში ხდება მდინარის დონის აწევა, რასაც თან სდევს ინტენსიური გვერდითი ეროზია. საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი უბანი, რომელთა კოორდინატებია - 1 უბანი X – 368544,201; Y- 4635529,324 ; 2 უბანი X – 368357,621; Y- 463584,038.

საკვლევ ტერიტორიის მდინარე მტკვრის ეს მონაკვეთი ბორჯომის ხეობის სახელითაა ცნობილი. ბორჯომის ხეობის მონაკვეთის (აწყურიდან-ტაშისკარამდე) სიგრძეა 40-42 კმ-ია. ხეობის საერთო მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთურია. მდინარე მტკვრის ეს მონაკვეთი რთულ ანტიცენტურ (გამკვეთ) ხეობას წარმოადგენს, კარგად გამოხატული V-სებრი პროფილით, ფერდობები ეროზიული ხეობით და ტერასებით არის გართულებული. ბორჯომთან ბაკურიანის ლავური ნაკადი ბოლოვდება. ხეობის ძირის სიმაღლე აყურთან 890 მეტრია, ხოლო ტაშისკართან 720

მეტრი. ბორჯომის ხეობის რელიეფი აგებულია შუა ეოცენური წყებებით. ხეობის ფერდობები დანაწევრებულია აჭარა-იმერეთის და თრიალეთის ქედებიდან ჩამომდინარე ხეობებით. აღსანიშნავია ქვაბისხევი, რომელიც აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე მოედინება მ. ლომისმთიდან (2187 მ) და დვირთან ერთვის მდინარე მტკვარს. ხეობაში გამოკვეთილია ვიწრო და ქვაბულისმაგვარი მონაკვეთები, რომელიც დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ანდეზიტების ლავებთან, ხოლო გაფართოებული მონაკვეთები შუა ეოცენურ ტუფობრექციებთან და ტუფოქვიშაქვებთან. მსგავსი მორფოლოგია აქვთ სხვა მარცხენა შენაკადებს. მარჯვენა შენაკადები თრიალეთის ქედის ფერდობზე დრმად არიან ჩამჯდარნი და V-სებურ ხეობას იწვითარებენ. საყურადღებოა დაბადველის ლავური პლატოზე ზედა პლესიტოცენში განვითარებული კლდეზავი, რომელმაც გადაკეტა მდინარე მტკვრის ხეობა და დროებითი ტბა გააჩინა. რელიეფში ამ მოვლენის ნიშნები დღესაც კარგად არის გამოხატული სადაც სოფ. დვირამდე 10 მ-მდე სისქის ტბური ნაფენებია. ბორჯომის ხეობის მდინარეული ტერასები ფრაგმენტების სახით არის გამოხატული (5-7 მ. და 10-15 მ. სიმაღლის პირველი და მეორე ტერასები). საკვლევი ტერიტორიის პირველი უბნის წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენს 11 006 კმ²-ს, ნიშნული 769,56 მ., მეორე უბნის წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენს 11 027 კმ²-ს ნიშნული 768,22 მ.

მდინარე მტკვრის პირველი უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯები

საკვლევი ტერიტორიის პირველი უბნის მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია ჰ/ს ლიკანის მონაცემები, რომელიც მოცემულია „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები, ტომი 9, გამოშვება 1,“ ცნობარში. გადასვლა ანალოგის, ანუ ჰ/ს ლიკანის კვეთიდან მდინარე მტკვრის პირველი უბნის საპროექტო კვეთში განხორციელდა გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფარდობით შემდეგი გამოსახულებით

$$K = \left(\frac{F_{sapr.}}{F_{an.}} \right)^n$$

სადაც $F_{sapr.}$ - მდინარე მტკვრის პირველი უბნის წყალშემკრები აუზის ფართობია, რაც ტოლია 11 06 კმ² (ნიშნული 769,56 მ).

$F_{an.}$ - მდინარე მტკვრის ჰ/ს ლიკანის ანუ ანალოგის წყალშემკრები აუზის ფართობია რაც შეადგენს ლიკანის კვეთში 10 500 კმ²-ს.

n - არის რელუქციის ხარისხის მაჩვენებელი და რადგან საპროექტო კვეთის წყალშემკრები აუზის ფართობის მეტია ანალოგის ფართობზე მისი მნიშვნელობა მიიღება 0, 5-ის ტოლი.

აქედან ჰ/ს ლიკანის კვეთიდან გადასაყვანი კოეფიციენტი პირველი უბნისთვის არის $n=1.024$

მდინარე მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები ჰ/ს ლიკანის და საპროექტო პირველი უბნის კვეთებში, მოცემულია #7 ცხრილში

მდ. მტკვარი სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები პირველ უბანთან Q მ³/წმ

კვეთი	F კმ ²	Q ₀ მ ³ /წმ	Cv	Cs	K	უზრუნველყოფა %				
						1	2	5	10	25
ჰ/ს ლიკანი	10 500	499	0,43	1,30	-	1180	1070	910	780	600
საპროექტო პირველი უბანი	11 006	517	-	-	1,024	1208	1095	932	798	614

მდინარე მტკვრის პირველი უბნის ცხრილ #7-ში მოცემული მაქსიმალური ხარჯები მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად.


მდინარე მტკვრის პირველი უბნის წყლის მაქსიმალური დონეები და სიჩქარე

მდინარე მტკვარზე პირველ უბანზე წყლის მაქსიმალური დონეების ნიშნულების დასადგენად საკვლევ ტერიტორიაზე, მოხდა კალაპოტის განივი პროფილის გადაღება, რომლის საფუძველზეც დადგენილი იქნა მდინარე მტკვრის ჰიდრაულიკური ელემენტები.


აღნიშნული პარამეტრების მიხედვით მოხდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება. წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდი, საიდანაც დადგენილია წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია საანგარიშო კვეთს შორის ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობის შერჩევის გზით.

პირველი უბნის $Q=f(H)$ დამოკიდებულების გრაფიკები მოცემულია გრაფიკზე N 1-8.


გრაფიკი N1




გრაფიკი N 3




გრაფიკი N 2




გრაფიკი N 4




გრაფიკი N 5




გრაფიკი N 7



გრაფიკი N 6



გრაფიკი N 8



$$V = \frac{h^2}{4n}$$

სადაც h - ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ით,
 i - ნაკადის ჰიდრული კოეფიციენტია ორ საანგარიშო კვეთს შორის,
 n - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რომელიც არსებულ პირობებში აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან,
 ცხრილ №8-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის პირველი უბნის მაქსიმალური ხარჯებისა და შესაბამისი დონეების შესახებ

ცხრილი #8

მდინარე მტკვარი პირველი უბნის მაქსიმალური ხარჯები და შესაბამისი დონეები									
სიმაღლითი ნიშნულები									
კვეთის რიგითი ნომერი	მანძილი მ.	დახრილობა	მარჯვენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	მარცხენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.ზ.დ	ფაქტიური წყლის დონე	100 წლიანი განმეორებადობა 1208 მ ³ /წმ	საწყისი წერტილის კოორდინატები	
	103.5								
1		0.0031	781.85	781.2	771.85	773.05	777.62	368375.621	4634554.531
	146.7								
2		0.0029	780.05	780	771.6	772.62	776.19	368683.635	4634673.942
	170.8								
3		0.0071	779	778	770.4	771.4	775.28	368377.743	4634833.621
	152.7								
4		0.0012	777.1	777	769.7	771.22	775.23	368420.883	4634986.552
	148.7								
5		0.0017	780.1	777	769.51	770.96	775.20	368463.622	4635147.831
	125.1								
6		0.0018	780	776	769.45	770.73	774.18	368487.071	4635268.513
	138.5								
7		0.0051	780	776	768.95	770.02	773.31	368480.711	4635381.832
	139.9								
8		0.003	778	775	768.51	769.6	773.25	368460.871	4635503.651

ცხრილ №9-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის პირველი უბნის ჰიდრავლიკური ელემენტები

მდინარე მტკვარი პირველი უბნის ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილი								
კვეთის ნიშნული მ.ზ.დ. H(საშ)	კვეთის ელემენტი	კვეთის ფართობი F(მ ²)	ნაკადის სიგანე B (მ)	საშუალო სიღრმე h(მ)	საშუალო სიჩქარე Vსაშ მ/წმ	მქისეობის კოეფიციენტი n	ნაკადის ქანობი i	წყლის ხარჯი Q მ ³ /წმ
1	2	3.0	4.0	5	6	7	8	9
განივი კვეთი #1								
773.05	კალაპოტი	44.0	47.4	0.93	1.46	0.0363	0.0031	64
774.05	კალაპოტი	82.0	50.7	1.62	2.12	0.0363	0.0031	174
775.05	კალაპოტი	134.5	54.3	2.48	2.82	0.0363	0.0031	379
776.05	კალაპოტი	190.8	58.2	3.28	3.40	0.0363	0.0031	648
777.05	კალაპოტი	249.5	61.9	4.03	3.90	0.0363	0.0031	974
778.05	კალაპოტი	316.7	66.0	4.80	4.39	0.0363	0.0031	1389
განივი კვეთი #2								
772.62	კალაპოტი	53.9	66.5	0.81	1.31	0.0358	0.0029	70
773.62	კალაპოტი	122.8	71.7	1.71	2.16	0.0358	0.0029	265
774.62	კალაპოტი	198.7	80.1	2.48	2.76	0.0358	0.0029	549
775.62	კალაპოტი	281.0	84.5	3.33	3.36	0.0358	0.0029	945
776.62	კალაპოტი	366.0	86.6	4.23	3.95	0.0358	0.0029	1446
განივი კვეთი #3								
771.40	კალაპოტი	34.7	38.7	0.90	1.75	0.0447	0.0071	61
772.40	კალაპოტი	79.4	50.1	1.58	2.57	0.0447	0.0071	204
773.40	კალაპოტი	146.5	82.3	1.78	2.77	0.0447	0.0071	406
774.40	კალაპოტი	238.0	93.3	2.55	3.53	0.0447	0.0071	840
775.40	კალაპოტი	327.3	111.0	2.95	3.89	0.0447	0.0071	1273
განივი კვეთი #4								
771.22	კალაპოტი	57.8	47.7	1.21	1.37	0.0287	0.0012	79
772.22	კალაპოტი	109.3	56.2	1.94	1.88	0.0287	0.0012	206
773.22	კალაპოტი	167.3	58.1	2.88	2.45	0.0287	0.0012	410
773.22	ტოტი	16.3	30.0	0.54	0.80	0.0287	0.0012	13
								Σ423
774.22	კალაპოტი	225.7	59.1	3.82	2.96	0.0287	0.0012	669
774.22	ტოტი	51.4	46.1	1.11	1.30	0.0287	0.0012	67
								Σ735
775.22	კალაპოტი	286.0	60.5	4.73	3.42	0.0287	0.0012	977
775.22	ტოტი	102.7	53.2	1.93	1.88	0.0287	0.0012	193
								Σ1170
776.22	კალაპოტი	355.2	61.8	5.75	3.90	0.0287	0.0012	1384
776.22	ტოტი	157.0	55.4	2.83	2.43	0.0287	0.0012	381
								Σ1764
განივი კვეთი #5								
770.96	კალაპოტი	57.4	52.5	1.09	1.40	0.0313	0.0017	80
771.96	კალაპოტი	114.6	60.1	1.91	2.03	0.0313	0.0017	233
772.96	კალაპოტი	177.4	65.6	2.70	2.57	0.0313	0.0017	455

773.96	კალაპოტი	244.7	68.9	3.55	3.08	0.0313	0.0017	754
774.96	კალაპოტი	314.7	73.2	4.30	3.50	0.0313	0.0017	1101
775.96	კალაპოტი	390.0	77.4	5.04	3.89	0.0313	0.0017	1518
განივი კვეთი #6								
770.73	კალაპოტი	60.1	81.6	0.74	1.09	0.0317	0.0018	66
771.73	კალაპოტი	144.9	87.9	1.65	1.87	0.0317	0.0018	271
772.73	კალაპოტი	236.5	95.2	2.48	2.46	0.0317	0.0018	582
773.73	კალაპოტი	334.6	100.0	3.35	3.01	0.0317	0.0018	1006
774.73	კალაპოტი	437.0	106.0	4.12	3.46	0.0317	0.0018	1511
განივი კვეთი #7								
770.02	კალაპოტი	50.9	70.1	0.73	1.40	0.0412	0.0051	71
771.02	კალაპოტი	124.4	77.7	1.60	2.38	0.0412	0.0051	296
772.02	კალაპოტი	203.7	79.4	2.57	3.26	0.0412	0.0051	664
773.02	კალაპოტი	271.8	81.2	3.35	3.89	0.0412	0.0051	1058
774.02	კალაპოტი	353.3	84.1	4.20	4.53	0.0412	0.0051	1602
განივი კვეთი #8								
769.60	კალაპოტი	52.2	70.6	0.74	1.24	0.0360	0.0030	65
770.60	კალაპოტი	125.1	75.3	1.66	2.14	0.0360	0.0030	267
771.60	კალაპოტი	203.5	82.4	2.47	2.79	0.0360	0.0030	567
772.60	კალაპოტი	273.2	88.3	3.09	3.24	0.0360	0.0030	886
773.60	კალაპოტი	363.3	94.7	3.84	3.75	0.0360	0.0030	1361

ცხრილ #10-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის პირველი უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯის განმეორებადობის და შესაბამისი დონის შესახებ

განივი კვეთის #	წყლის ნაპირის ნიშნული მ. აბს.	წ.მ.დ.
		T=100 წელი
		Qmax=1208 მ ³ /წმ
1	773.05	777.62
2	772.62	776.19
3	771.4	775.28
4	771.22	775.23
5	770.96	775.20
6	770.73	774.18
7	770.02	773.31
8	769.6	773.25

ცხრილი #10

მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე

მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „ მთის მდინარეების ალუვიურ

კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“

აღნიშნული მეთოდის თანახმად, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{საშ.} = \frac{K}{i^{0.03}} \left(\frac{Q_{1\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4} \text{ m}$$

სადაც K - კოეფიციენია, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე (μ გრ/ლ) და ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალაპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო დიამეტრის ფარდობაზე ($\frac{H}{d_{მოკ}}$), აიღება სპეციალური ცხრილიდან.

წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{cp}} \right)^{0.7} * i^{2.2}$$

სადაც H- ნაკადის საშუალო სიღრმეა საანგარიშო კვეთში. მისი სიდიდე აღებულია მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,73 მ-ის.

d_{cp} - მდინარის ფსკერზე კალაპოტის ძირზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება

$$d_{cp} = K * i^{0.9} * \left(\frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ k - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას, მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მასალის (μ გრ/ლ) რაოდენობაზე, აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენს შემთხვევაში ტოლია 1.6-ის.

i - ყველა ფორმულაში ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობი (ადგილობრივი ქანობი) საპროექტო უბანზე, ჩვენს შემთხვევაში ტოლია 0,0034-ის.

სადაც Q_{1%} - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ³/მ-ში, ჩვენს შემთხვევაში ის შეადგენს 1208 მ³/წმ-ს.

ხოლო Q_{10%} - მდინარე მტკვრის 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენს შემთხვევაში ტოლია 798 მ³/წმ-ის.

g – ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება (μ გრ/ლ)=0,35 გრ/ლ ანუ 0,00035 კგ/ლ და d_{cp}=0,09 მ-ს. აქედან d_{მოკ}= d_{cp}*1.8=0.16 მ-ს. ხოლო ფარდობა ($\frac{H}{d_{მოკ}} = \frac{3.73}{0.16}$)=23.3 ≥ 3-ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან შეეფარდება K=0.35

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით თავდაპირველად მოცემულ ფორმულაში მიიღება მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე რომელიც ტოლია 4,5 მეტრის.

კალაპოტის საერთო წარეცხვის ღონე ანუ მაქსიმალური სიღრმე H_{max} მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{max}=1.6 \cdot H_s$$

მოყვანილ გამოსახულებაში შესაბამისად მდინარე მტკვრის პირველი უბნის საერთო წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე იქნება 7,2 მ-ის.

კალაპოტის საერთო წარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები H_{max} უნდა გადაიზომოს საკვლევი ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის პირველი უბნის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი ღონის ნიშნულიდან ქვემოთ.

მდინარე მტკვრის პირველი უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის საანგარიშოდ საჭირო და ზემოთ მოცემული პარამეტრების გაანგარიშებული მნიშვნელობები და

თვით კალაპოტის საერთო წარეცხვის მაქსიმალური სიღრმეები საპროექტო კვეთში მოცემულია

ცხრილში #11.

ცხრილი#11

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	$Q_{10\%}$ მ ³ /წმ	i - კალაპ.	g \sqrt{g}	D_{cp} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	d_{mok}	H_s მ.	H_{max} მ.
მდინარე მტკვარი პირველი უბანი	1208	798	0,0034	9.8 $\sqrt{9.8}$	0.09	3,73	0.35	0.16	4,5	7,2

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე განგარიშდება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმული ეროზიის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. აქედან გამომდინარე თუ საპროექტო ნაგებობების უბანზე დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, მშენებლობა (ნაგებობა) უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

მდინარე მტკვრის პირველი უბნის ნაპირსამაგრი ქვის დიამეტრი

საკვლევ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ფლეთილი ქვები. მდინარე მტკვრის პირველი უბნის ნაპირსამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის დიამეტრი დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეებზე ნაპირსამაგრი გრძივი ბერმების მოპირკეთების კონსტრუირების რეკომენდაციებში“ (ბიშკეკი, 1991 წ). აღნიშნული მეთოდის თანახმად, ნაპირსამაგრი ფლეთილი ქვის დიამეტრი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$D_{kv} = \frac{6.18}{m_0^{0.2}} * \left(\frac{\gamma}{\gamma_n - \gamma_s} \right) * \left(\frac{Q_{max} + 1}{\sqrt{g}} \right)^{0.4} \text{ მ}$$

M_0 _ნაპირსამაგრი ნაგებობის დახრის კოეფიციენტი, რაც მიღებულია 1,5-ის ტოლი;

γ_s _წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით

$$\gamma_s = \gamma + \mu \cdot \frac{\gamma_n - \gamma}{\gamma_n}$$

სადაც γ და γ_n _ წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში; $\gamma = 1000$ კგ/მ³-ში და $\gamma_n = 2650$ კგ/მ³-ში; μ – კალაპოტის წარმომქმნელი მყარი ნატანის შემცველობაა წყლისა და მყარი ნატანის ნარევი გრ/ლ ან კგ/მ³-ში; მისი სიდიდე იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{cp}} \right)^{0.7} * l^{2.2}$$

$\mu = 0.35$ გრ/ლ ანუ 0,00035 კგ/ლ, სადაც H _ ნაკადის საშუალო სიღრმეა მეტრებში, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,73 მ-ის ;

d_{cp} _მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია, რომლის მნიშვნელობა დადგენილია ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებით და ტოლია 0,09 მ-ის

i _ ორივე ფორმულაში ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0034-ის

; ხოლო $\gamma_s = 1000$ კგ/მ³ -ში.

$Q_{p\%}$ _მდინარის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1%-იანი უზრუნველყოფის (100 წლიანი განმეორებადობის) წლის მაქსიმალური ხარჯის 1208 მ³/წმ.

g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა. ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიიღება სანაყაროს ნაპირსამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდე, რაც ტოლია 1,11 მ-ის.

ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიღებული შედეგები და ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდეები მოცემულია ცხრილ #12-ში

ცხრილი #12

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	M_0	i - კალაპ.	g \sqrt{g}	d_{cp} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	γ_s კგ/მ ³	D_{kv} მ.
მდინარე მტკვარი პირველი უბანი	1208	1.5	0,0034	9.8 $\sqrt{9.8}$	0.09	3,73	0.35 ანუ 0,00035 კგ/ლ	1000	1.11

ბერმაში გამოსაყენებელი ქვების დიამეტრი ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით დადგენილია 1.11 მ. ბერმის მშენებლობის დროს 1.11 მ დიამეტრის ქვები უნდა შეადგენდეს საერთო რაოდენობის 70%-ს, 20% უნდა იყოს 1.5 მ-ის ტოლი, ანუ 1,67 მ და 10% - 0.5მ-ის ტოლი, ანუ

0.56 მ-ის ტოლი. აქედან გამომდინარე მშენებლობის დროს გამოყენებული ფლეთილი ქვების მინიმალური დიამეტრი უნდა შეადგენდეს 0,56 მ-ს, მაქსიმალური დიამეტრი 1,67 მ-ს.

მდინარე მტკვრის პირველი უბნის კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული ნაწილი და ნახაზები მიზნად ისახავს მდინარე მტკვარზე სოფელ ყვიბისთან პირველი უბნის მარჯვენა ნაპირის დაცვას. აღნიშნულ მონაკვეთზე ადგილი აქვს ნაპირის ინტენსიურ გარეცხვას. ეროზიული პროცესების შესაჩერებლად გათვალისწინებულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება.

ნაპირსამაგრი პროექტი ითვალისწინებს ავარიული ნაპირის დაცვას ლოდებისგან აგებული ნაყარი ბერმის აგებას. ნაგებობის საანგარიშო პარამეტრები გათვლილია და გაანგარიშებულია მდინარის მაქსიმალური 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისად. ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1027 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია 1,11≈1,1მ, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³. ნაგებობის ერთი გრძივი მეტრი საშუალოდ შეიცავს 40 კუბ.მ. მოცულობის ლოდს, ნაგებობის გარე კუთხის დახრა (ფერდის) დახრა შეადგენს m=1.5. საპროექტო ბერმის თხემის სიგანე შეადგენს 4 მეტრს, ნაგებობის სიმაღლე 5,1 მეტრს, მარაგი წარეცხვაზე -1,0 მ-ს, ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მ-ს. ცხრილიში #13 მოცემულია სამშენებლო სამუშაოების პიკეტორისი უწყისი

ცხრილი #13

სამშენებლო სამუშაოების პიკეტორისი უწყისი			
განივები	ნაპირსამაგრი ნაგებობა	განივებს შორის მანძილი	ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის მოცულობა განივებს შორის კუბ. მ
1	43.1		
		148	6275.2
2	41.7		
		171	6993.9
3	40.1		
		153	5867.55
4	36.6		
		149	5952.55
5	43.3		
		125	5025
6	37.1		
		140	5488
7	41.3		
		141	5632.95
8	38.6		
სულ			41235.15

ცხრილში #14 მოცემულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის კოორდინატები თხემის შიდა წიბოს მიხედვით.

ცხრილი #14

კოორდინატები მოცემულია ფლეთილი ქვის ბერმის თხემის შიდა წიბოს მიხედვით		
პიკეტი	X	Y
0+00	368429.53	4634524.02
1+48	368473.22	4634665.09
3+19	364897.54	4634834.42
4+72	368504.42	4634986.85
6+21	368536.02	4635131.89
7+46	368578.34	4635249.92
8+86	368573.26	4635389.46
10+27	368539.26	463526.275

ასევე მდინარე მტკვარს აღნიშნულ მონაკვეთში მარჯვენა მხრიდან უერთდება ორი მცირე ზომის ღელე და ისინი კოლექტორის საშუალებით უერთდება მდინარე მტკვარს. აღნიშნული ღელეების კოორდინატებია 1)X- 368490,09 Y-4634742,53 2) 1)X- 368554,61 Y-4635151,31. ნაპირსამაგრის მშენებლობის დროს ეს საკითხები გასათვალისწინებელია. უნდა მოხდეს ამ ორი კოლექტორის დაგრძელება იმ პარამეტრების მიხედვით რაც მათ აქვთ და კოლექტორმა უნდა გაიაროს 9ნაპირსამაგრის) ფლეთილი ქვების (ლოდების) ბერმის ტანში, სადაც ის განიტვირთება და მიუერთდება მდინარე მტკვარს.

მდინარე მტკვარის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯები

საკვლევო ტერიტორიის მეორე უბნის მდინარე მტკვარის წყლის მაქსიმალური ხარჯები დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია ჰ/ს ლიკანის მონაცემები, რომელიც მოცემულია „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები, ტომი 9, გამოშვება 1,“ ცნობარში. გადასვლა ანალოგის, ანუ ჰ/ს ლიკანის კვეთიდან მდინარე მტკვარის პირველი უბნის საპროექტო კვეთში განხორციელდა გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფართობით შემდეგი გამოსახულებით

$$K = \left(\frac{F_{sapr.}}{F_{an.}} \right)^n$$

სადაც $F_{sapr.}$ - მდინარე მტკვარის პირველი უბნის წყალშემკრები აუზის ფართობია, რაც ტოლია 11 027 კმ² (ნიშნული 768,22 მ).

$F_{an.}$ - მდინარე მტკვარის ჰ/ს ლიკანის ანუ ანალოგის წყალშემკრები აუზის ფართობია რაც შეადგენს ლიკანის კვეთში 10 500 კმ²-ს.

n - არის რელუქციის ხარისხის მაჩვენებელი და რადგან საპროექტო კვეთის წყალშემკრები აუზის ფართობის მეტია ანალოგის ფართობზე მისი მნიშვნელობა მიიღება 0,5-ის ტოლი.

აქედან $\frac{3}{s}$ ლიკანის კვეთიდან გადასაყვანი კოეფიციენტი პირველი უბნისთვის არის $n=1.025$

მდინარე მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები $\frac{3}{s}$ ლიკანის და საპროექტო მეორე უბნის კვეთებში, მოცემულია #15 ცხრილში

მდ. მტკვარი სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები მეორე უბანთან Q მ³/წმ ცხრილი #15

კვეთი	F კმ ²	Q ₀ მ ³ /წმ	C _v	C _s	K	უზრუნველყოფა %				
						1	2	5	10	25
3/s ლიკანი	10 500	499	0,43	1,30	-	1180	1070	910	780	600
საპროექტო მეორე უბანი	11 027	519	-	-	1,025	1210	1097	933	800	615

აღნიშნულ მონაკვეთში მდინარე მტკვარზე პირველი და მეორე უბანი ერთმანეთთან ახლოსაა მათ შორის მანძილი 35-40 მეტრია, მაგრამ პირველი უბნის დასასრულს მდინარე მტკვარს უერთდება მარჯვენა მხრიდან მცირე შენაკადი მდინარე ყვიბისისწყალი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯების დასადგენად მდინარე ყვიბისისწყლის და მისი წყალშემკრები აუზის გათვალისწინება. სწორედ ამის გამო არის პირველ და მეორე უბნებს შორის მაქსიმალური ხარჯების მცირედით განსხვავებული სიდიდეები.



მდინარე მტკვრის მეორე უბნის ცხრილ #9-ში მოცემული მაქსიმალური ხარჯები მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური დონეები და სიჩქარე


მდინარე მტკვარზე მეორე უბანზე წყლის მაქსიმალური დონეების ნიშნულების დასადგენად საკვლევ ტერიტორიაზე, მოხდა კალაპოტის განივი პროფილის გადაღება, რომლის საფუძველზეც დადგენილი იქნა მდინარე მტკვრის ჰიდრაულიკური ელემენტები.

აღნიშნული პარამეტრების მიხედვით მოხდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება. წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდი, საიდანაც დადგენილია წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია საანგარიშო კვეთს შორის ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობის შერჩევის გზით.


პირველი უბნის $Q=f(H)$ დამოკიდებულების გრაფიკები მოცემულია გრაფიკზე N 9-12.



გრაფიკი N 11



გრაფიკი N 12



ნაკადის საშუალო სიჩქარე კვეთებში დადგენილია შუბი - მანინგის ფორმულით

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადაც h - ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ით,
i - ნაკადის ჰიდრულიკური ქანობია ორ საანგარიშო კვეთს შორის,
n - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რომელიც არსებულ პირობებში აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან,
ცხრილ №16-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯებისა და შესაბამისი დონეების შესახებ

ცხრილი #16

მდინარე მტკვარი მეორე უბნის მაქსიმალური ხარჯები და შესაბამისი დონეები								
სიმაღლითი ნიშნულები								
კვეთის რიგითი ნომერი	მანძილი მ.	დახრილობა	მარჯვენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	მარცხენა ტერასის სიმაღლითი ნიშნული მ.ზ.დ	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.ზ.დ	ფაქტიური წყლის დონე	100 წლიანი განმეორებადობა 1210 მ³/წმ	საწყისი წერტილის კოორდინატები
	31.8							
1		0.0057	776.10	776.30	767.95	769.08	773.24	368447.652 4635526.853
2	75.3							
		0.0062	776.00	776.20	767.50	768.62	771.90	368414.171 4635594.617
3	106							
		0.0008	777.40	775.30	766.80	768.54	771.88	368371562 4635679.437
4	140							
		0.0022	779.30	774.18	766.70	768.23	771.40	368282.872 4635799.143

ცხრილ №17-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის ჰიდრავლიკური ელემენტები

ცხრილი #17

მდინარე მტკვარი მეორე უბნის ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილი								
კვეთის ნიშნული მ.ზ.დ. H(სამ)	კვეთის ელემენტი	კვეთის ფართობი F(მ²)	ნაკადის სიგანე B (მ)	საშუალო სიღრმე h(მ)	საშუალო სიჩქარე vსაშ მ/წმ	მქისეობის კოეფიციენტი n	ნაკადის ქანობი i	წყლის ხარჯი Q მ³/წმ
1	2	3.0	4.0	5	6	7	8	9
განივი კვეთი #1								
769.08	კალაპოტი	42.6	56.0	0.76	1.59	0.0454	0.0075	68
770.08	კალაპოტი	100.3	59.2	1.69	2.18	0.0363	0.0031	219
771.08	კალაპოტი	159.0	63.2	2.52	2.85	0.0363	0.0031	453
772.08	კალაპოტი	228.3	77.1	2.96	3.17	0.0363	0.0031	725
773.08	კალაპოტი	316.4	92.3	3.43	3.50	0.0363	0.0031	1108
773.58	კალაპოტი	367.2	98.3	3.74	3.71	0.0363	0.0031	1362
განივი კვეთი #2								
768.62	კალაპოტი	46.9	53.4	0.88	1.67	0.0433	0.0062	78
769.62	კალაპოტი	108.9	74.5	1.46	2.35	0.0433	0.0062	255
770.62	კალაპოტი	198.2	101.1	1.96	2.85	0.0433	0.0062	566

771.62	კალაპოტი	304.2	111.4	2.73	3.56	0.0433	0.0062	1084
772.62	კალაპოტი	415.0	114.3	3.63	4.31	0.0433	0.0062	1790
განივი კვეთი #3								
768.54	კალაპოტი	78.7	57.7	1.36	1.58	0.0221	0.0008	124
769.54	კალაპოტი	138.8	63.7	2.18	2.16	0.0221	0.0008	299
770.54	კალაპოტი	206.4	71.0	2.91	2.62	0.0221	0.0008	540
771.54	კალაპოტი	281.1	74.0	3.80	3.13	0.0221	0.0008	880
772.54	კალაპოტი	361.1	78.0	4.63	3.57	0.0221	0.0008	1290
განივი კვეთი #4								
768.23	კალაპოტი	76.2	79.7	0.96	1.32	0.0344	0.0022	101
769.23	კალაპოტი	158.7	85.2	1.86	2.07	0.0344	0.0022	328
770.23	კალაპოტი	246.6	91.3	2.70	2.65	0.0344	0.0022	654
771.23	კალაპოტი	352.2	98.5	3.58	3.20	0.0344	0.0022	1128
772.23	კალაპოტი	453.6	104.0	4.36	3.66	0.0344	0.0022	1659

ცხრილ #18-ში მოცემულია ინფორმაცია მდინარე მტკვრის მეორე უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯის განმეორებადობის და შესაბამისი დონის შესახებ

ცხრილი #18

განივი კვეთის #	წყლის ნაპირის ნიშნული მ. აბს.	წ.მ.დ.
		T=100 წელი
		Qmax=1210 მ ³ /წმ
1	769.09	773.24
2	768.62	771.90
3	768.54	771.88
4	768.23	771.40

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „ მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“

აღნიშნული მეთოდის თანახმად, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{საშ.} = \frac{K \cdot (Q)^{0.4}}{i \cdot \left(\frac{1\%}{\sqrt{g}} \right)} \text{ m}$$

სადაც K - კოეფიციენია, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე (μ გრ/ლ) და ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალაპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო დიამეტრის ფარდობაზე ($\frac{H}{d_{მოკ}}$), აიღება სპეციალური ცხრილიდან.

წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 \cdot \left(\frac{H}{d_{cp}} \right)^{0.7} \cdot i^{2.2}$$

სადაც H- ნაკადის საშუალო სიღრმეა საანგარიშო კვეთში. მისი სიდიდე აღებულია მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,60 მ-ის.

d_{cp} - მდინარის ფსკერზე კალაპოტის ძირზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება

$$d_{cp} = K \cdot i^{0.9} \cdot \left(\frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ k - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას, მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მასალის (μ გრ/ლ) რაოდენობაზე, აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენს შემთხვევაში ტოლია 1.6-ის.

i - ყველა ფორმულაში ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობი (ადგილობრივი ქანობი) საპროექტო უბანზე, ჩვენს შემთხვევაში ტოლია 0,0027-ის.

სადაც $Q_{1\%}$ - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ³/მ-ში, ჩვენს შემთხვევაში ის შეადგენს 1210 მ³/წმ-ს.

ხოლო $Q_{10\%}$ - მდინარე მტკვრის 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენს შემთხვევაში ტოლია 800 მ³/წმ-ის.

g – ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება (μ გრ/ლ)=0,25 გრ/ლ ანუ 0,00025კგ/ლ და d_{cp} =0,07 მ-ს. აქედან $d_{მოკ}$ = d_{cp} *1.8=0.13 მ-ს. ხოლო ფარდობა ($\frac{H}{d_{მოკ}} = \frac{3,60}{0,13}$)=27,7 \geq 3-ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან შეეფარდება K=0.35

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით თავდაპირველად მოცემულ ფორმულაში მიიღება მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე რომელიც ტოლია 4,5 მეტრის.

კალაპოტის საერთო წარეცხვის დონე (H_{max}) მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{max}=1.6 \cdot H_s$$

მოყვანილ გამოსახულებაში შესაბამისად მდინარე მტკვრის მეორე უბნის საერთო წარეცხვის

მაქსიმალური სიღრმე იქნება 7,2 მ-ის.

კალაპოტის საერთო წარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები H_{max} უნდა გადაიზომოს საკვლევი ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის მეორე უბნის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი ღონის ნიშნულიდან ქვემოთ.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის საანგარიშოდ საჭირო და ზემოთ მოცემული პარამეტრების გაანგარიშებული მნიშვნელობები და თვით კალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმეები საპროექტო კვეთში

მოცემულია ცხრილში #19.

ცხრილი#19

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	$Q_{10\%}$ მ ³ /წმ	i - კალაპ.	g \sqrt{g}	D_{sp} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	d_{mok}	H_s მ.	H_{max} მ.
მდინარე მტკვარი მეორე უბანი	1210	800	0,0027	9.8 $\sqrt{9.19}$	0,07	3,60		0,13	4,5	7,2

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმული ეროზიის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. აქედან გამომდინარე თუ საპროექტო ნაგებობების უბანზე დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, მშენებლობა (ნაგებობა) უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის ნაპირსამაგრი ქვის დიამეტრი

საკვლევ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ფლეთილი ქვები. მდინარე მტკვრის მეორე უბნის ნაპირსამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის დიამეტრი დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეებზე ნაპირსამაგრი გრძივი ბერმების მოპირკეთების კონსტრუირების რეკომენდაციებში“ (ბიშკეკი, 1991 წ). აღნიშნული მეთოდის თანახმად, ნაპირსამაგრი ფლეთილი ქვის დიამეტრი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$D_{kv} = \frac{9.18}{m_0^{0.5}} * \left(\frac{Y}{\gamma_n - \gamma_s} \right) * \left(\frac{Q_{max}}{\sqrt{g}} \right)^{0.4} \text{ მ}$$

M_0 _ნაპირსამაგრი ნაგებობის დახრის კოეფიციენტი, რაც მიღებულია 1,5-ის ტოლი;

Y_s _წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით

$$\gamma_s = \gamma + \mu \cdot \frac{\gamma_n - \gamma}{\gamma_n}$$

სადაც γ და γ_n _ წყლისა და მყარი ნატანის სიმკვრივეა კგ/მ³-ში; $\gamma = 1000$ კგ/მ³-ში და

$\gamma_n = 2650$ კგ/მ³-ში; μ - კალაპოტის წარმომქმნელი მყარი ნატანის შემცველობაა წყლისა და მყარი

ნატანის ნარევი გრ/ლ ან კგ/მ³-ში; მისი სიდიდე იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 7000 * \left(\frac{H}{d_{cp}} \right)^{0.7} * i^{2.2}$$

$\mu = 0.25$ გრ/ლ ანუ 0,00025 კგ/ლ, სადაც H _ ნაკადის საშუალო სიღრმეა მეტრებში, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და ტოლია 3,60 მ-ის ;

d_{cp} _მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია, რომლის მნიშვნელობა დადგენილია ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებით და ტოლია 0,071, მ-ის

i _ ორივე ფორმულაში ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0027-ის

; ხოლო $\gamma_s = 1000$ კგ/მ³ -ში.

$Q_{p\%}$ _მდინარის საანგარიშო უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1%-იანი უზრუნველყოფის (100 წლიანი განმეორებადობის) წლის მაქსიმალური ხარჯის 1210 მ³/წმ.

g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა. ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიიღება სანაყაროს ნაპირსამაგრებისთვის საჭირო ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდე, რაც ტოლია 1,00 მ-ის.

ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მიღებული შედეგები და ფლეთილი ქვის გაანგარიშებული დიამეტრის სიდიდეები მოცემულია ცხრილ #20-ში

საპროექტო უბანი	$Q_{1\%}$ მ ³ /წმ	M_0	i - კალაპ.	g \sqrt{g}	D_{cp} მ.	$R=h$ მ.	μ გრ/ლ	γ_s კგ/მ ³	D_{kv} მ.
მდინარე მტკვარი მეორე უბანი	1210	1.5	0,0027	9.8 $\sqrt{9.19}$	0.07	360	0.25 ანუ 0,00025 კგ/ლ	1000	1.00

ბერმაში გამოსაყენებელი ქვების დიამეტრი ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით დადგენილია 1.00 მ. ბერმის მშენებლობის დროს 1.00 მ დიამეტრის ქვები უნდა შეადგენდეს საერთო რაოდენობის 70%-ს, 20% უნდა იყოს 1.5 მ-ს ტოლი, ანუ 1,50 მ და 10% - 0.5მ-ს ტოლი, ანუ 0.50 მ-ს ტოლი. აქედან გამომდინარე მშენებლობის დროს გამოყენებული ფლეთილი ქვების მინიმალური დიამეტრი უნდა შეადგენდეს 0,50 მ-ს, მაქსიმალური დიამეტრი 1,50 მ-ს.

მდინარე მტკვრის მეორე უბნის კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული ნაწილი და ნახაზები მიზნად ისახავს მდინარე მტკვარზე სოფელ ყვიბისთან მეორე უბნის მარჯვენა ნაპირის დაცვას. აღნიშნულ მონაკვეთზე აღილი აქვს ნაპირის ინტენსიურ გარეცხვას. ეროზიული პროცესების შესაჩერებლად გათვალისწინებულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება.

ნაპირსამაგრი პროექტი ითვალისწინებს ავარიული ნაპირის დაცვას ლოდებისგან აგებული ნაყარი ბერმის აგებას. ნაგებობის საანგარიშო პარამეტრები გათვლილია და გაანგარიშებულია მდინარის მაქსიმალური 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისად. ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 329 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია 1,00 მ-ს, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³. ნაგებობის ერთი გრძივი მეტრი საშუალოდ შეიცავს 36 კუბ.მ. მოცულობის ლოდს, ნაგებობის გარე კუთხის დახრა (ფერდის) დახრა შეადგენს $m=1.5$. საპროექტო ბერმის თხემის სიგანე შეადგენს 4 მეტრს, ნაგებობის სიმაღლე 5,1 მეტრს, მარაგი წარეცხვაზე -1,0

მ-ს, ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მ-ს. ცხრილიში #20 მოცემულია სამშენებლო სამუშაოების პიკეტორისი უწყისი

ცხრილი #20

სამშენებლო სამუშაოების პიკეტორისი უწყისი			
განივები	ფლეთილი ქვის ბერმა	განივებს შორის მანძილი	ფლეთილი ქვის ბერმის მოწყობის მოცულობა განივებს შორის კუბ. მ
1	34.0		
		75	2550
2	34.0		
		114	3876
3	34.0		
		140	5208
4	40.4		
სულ			11634

ცხრილში #21 მოცემულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის კოორდინატები თხემის შიდა წიბოს მიხედვით.

ცხრილი #21

კოორდინატები მოცემულია ფლეთილი ქვის ბერმის თხემის შიდა წიბოს მიხედვით		
პიკეტი	X	Y
0+00	368540.56	4635568.87
0+75	368519.19	4635641.01
1+89	368446.71	4635727.76
3+29	368362.36	4635840.16

ბიომრავალფეროვნება

ფლორა, ფაუნა და იქტიოფაუნა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მდიდარია მცენარეული საფარით. აქ ცნობილია 1600-ზე მეტი სახეობა. რაიონის ტერიტორიის თითქმის 2/3 უჭირავს ტყესა და ბუჩქნარს, გაბატონებულია უმთავრესად ნაძვნარ-სოჭნარი და ნაძვნარ-წიფლნარი, არის ფიჭვნარიც. ტყეებში ზოგან

გავრცელებულია მარადმწვანე ქვეტყე და კოლხური ლიანები. შერეულ ტყეებში წიწვიანების გვრდით გვხვდება წიფელი, ნეკერჩხალი, მუხა, არყი. 2100-2200 მ. სიმაღლეზე ტყეებს ცვლის სუბალპური მდელოები, რომლებიც სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული. აღნიშნული ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცხადებულია დაცულ ტერიტორიად, თუმცა საპროექტო ტერიტორია დაცულ ტერიტორიებს არ კვეთს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფაუნა ნაირფეროვანია. ძუძუმწოვრებიდან გვხვდება ირემი, შველი, ტყისა და თეთრყელა კვერნები, წავი, მაჩვი, მგელი, მელა, იშვიათად მურა დათვი და ფოცხვერი. მრავაგანაა კავკასიური და ტელეუტური ციყვი. ფრინველებიდან აქ ბინადრობს კავკასიური როჭო, არწივი, კოდალა და სხვ. ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია ცხვირრქოსანი გველგესლა, ანკარა, ბოხმეჭა და სხვა. ამფიბიებიდან - კავკასიური სალამანდრა, რამდენიმე სახეობის ტრიტონი, კავკასიური ჯვრიანა და სხვა.

იქტიოფაუნა - მდ. მტკვრის აუზის აღნიშნულ მონაკვეთზე თევზების 10-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული: კალმახი, ქაშაპი, ხრამული, ფრიტა, კობრი, მურწა და სხვა. ასევე ბევრია კიბოსნაირები, ობობები, მწერები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სოფ. ყვიბისთან საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული ხე-მცენარეები ერთფეროვანია და სახეობრივი სიმრავლით არ გამოირჩევა.

სამშენებლო სამუშაოების დროს ხე-მცენარეების მოჭრა არ იგეგმება, ტერიტორია მხოლოდ გაიწმინდება გამხმარი ხე მცენარეებისაგან და იქ არსებული ნაშალი მასალისაგან.

ნიადაგი

უმთავრესად გავრცელებულია ტყის ყომრალი და გაეწერებული ყომრალი ნიადაგები და ქვედა ზონაში ტყის ყავისფერი ნიადაგია. ტყის ზონის ზემოთ განვითარებულია მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგი.

საკვლევ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ძირითადი ლანდშაფტებია:

- მთა-ხეობათა ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარით, ჭალისა და ნაწილობრივ წიწვიანი ტყეებით, ალუვიური და ტყის ყომრალი ნიადაგებით;

- საშუალო მთები, მოსწორებული ზედაპირების უბნებით, წიფლის ტყითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- საშუალო მთები წიწვიან-ფოთლოვანი (ფიჭვნარ-წიფლნარ-მუქწიწვიანი) ტყეებითა და გაწერებული ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- სუბალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგებით.

გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და შეფასება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს - სოფელ ყვიბისთან. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება იგეგმება ორ უბანზე, რაც საჭიროა მიმდებარედ არსებული რკინიგზის ლიანდაგის და საავტომობილო გზის დასაცავად. პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ხოლო მეორე ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1039 მეტრს.

ნაპირსამაგრის მოსაწყობად დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს: საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ადგილზე არსებული ქვა-ღორღის გამოყენებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, გაფრქვევის სტაციონალური წყაროების მონტაჟს, პროექტით გათვალისწინებული ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვების გარდა სხვა სამშენებლო მასალის შეტანას, სამშენებლო ბანაკების მოწყობას.

სამუშაოების განხორციელების შედეგად, ობიექტზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე, მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე. საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.

სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ატმოსფერული ჰაერის უმნიშვნელო დაბინძურება და სამშენებლო ტექნიკის ხმაური, რომელიც იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის. ასევე სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური გაუმართაობის/დაუდევრობის გამო წყლის/გრუნტის დაბინძურება.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოები განხორციელდება დღის მონაკვეთში (სამუშაოები წარმოებული იქნება ყოველ დღე, კვირის გარდა, 9:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე) და გაგრძელდება მოკლე პერიოდის განმავლობაში.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში საპროექტო ტერიტორიაზე არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა, ხოლო სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გამოყენებული ტექნიკა დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუშა პერსონალის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს რეგლამენტის დარღვევას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და ტექნიკის არასწორი მართვა, მუშაობა უსაფრთხოების მოთხოვნების უგულვებელყოფა), ამიტომ სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმებზე. ასევე ზედამხედველის მიერ ინტენსიური მონიტორინგი განხორციელდება რისკების მატარებელი სამუშაოების შესრულებისას. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირებისგან.

ზემოქმედება დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან უახლოესი მანძილი საპროექტო უბანთან 120 მ-ია. აღნიშნულ მონაკვეთზე „ზურმუხტის ქსელი“ (სპეციალური კოდი - GE0000010) ზუსტად იმეორებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვარს და ანალოგიურად დამორება საპროექტო უბანთან 120-მეტრია. დაცული ტერიტორია იწყება მდ. მტკვრის მეორე ნაპირიდან, ხოლო საპროექტო სამუშაოები განხორციელდება მდინარის მარჯვენა მხარეს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები დაცულ ტერიტორიებზე და „ზურმუხტის ქსელის“ დაცულ სახეობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს. მკვეთრი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან სამუშაოების ხანგრძლივობა მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება.



ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არქეოლოგია

საპროექტო ტერიტორიაზე ან უშუალო სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული ძეგლები არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და მისი ანთროპოგენური სახეცვლის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

სამშენებლო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

მისასვლელი გზები

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი - დროებითი მისასვლელი გზის გაყვანა, რაც აუცილებელია ფერდობის გაწმენდის დროს წარმოქმნილი ნაშალი მასის, გამხმარი ხე მცენარეების გამოზიდვის და ფლეთილი ლოდების შესატანად.

ნაპირსამაგრის მოწყობის მიზნით ტერიტორიაზე არსებულ ფერდობზე საჭირო გახდება 4 მეტრი სიგანის დროებითი-დამხმარე სატრანსპორტო გზის მოწყობა, რაც არ გამოიწვევს ლანდშაფტის ცვლილებას, რადგან არსებული უბანი ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილია. სამუშაოების დასრულების შემდეგ არსებული გზის მოკლე მონაკვეთი (ფერდობი) აღდგება.

ტერიტორიაზე არსებული ნაშალის გაწმენდა განხორციელდება მძიმე წონიანი მუხლუსა ექსკავატორით.

ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვები შეძენილი იქნება უახლოესი კარიერებიდან.

ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს ემისიების სტაციონალური ობიექტების მონტაჟს. ასევე არ არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით მტვრის გამოყოფა, რადგან ნაპირსამაგრი ბერმისთვის საჭირო ფლეთილი ქვები მზა სახით იქნება შემოტანილი და არ მოხდება ადგილზე არსებული მასალის გამოყენება/დამუშავება.

მხოლოდ სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკის გამონაბოლქვით არის მოსალოდნელი მცირე ნეგატიური ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები დროებითია და განხორციელდება მოკლე პერიოდში, აღნიშნული მოქმედებები გარემოს ფონურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას არ მოახდენს.

ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

გარემოში ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე.

საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო სამშენებლო ტექნიკა იქნება, თუმცა, განსახორციელებელი სამუშაოს მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე და იმის

გათვალისწინებით, რომ სამუშაოები განხორციელდება მოკლე პერიოდში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაპირსამაგრის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის.

ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტზე

ნაპირსამაგრის მოწყობის დროს არ იგეგმება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება. სამუშაოების განხორციელების დროს ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამშენებლო ტერიტორიაზე გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების გაჟონვის შემთხვევაში, თუმცა აღნიშნული გარემოების კონტროლი შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის მკაცრი შემოწმებით. კონტროლი განხორციელდება ყოველდღიურად სამუშაოების დაწყების და დასრულების დროს.

ასევე ძალიან მცირეა შანსი რაიმე სახის დიდი ავარიული რისკების, მიუხედავად ამისა სამუშაოები განხორციელდება მკაცრი ზედამხედველობით და თუ რაიმე გაუთვალისწინებელს ექნება ადგილი აუცილებლად ეცნობება შესაბამის სამსახურებს.

ზემოქმედება ზედაპირულ წყალზე

ზედაპირული წყლის დაბინძურების ძირითადი რისკია სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა, რის გამოც შესაძლოა ნავთობპროდუქტები მოხვდეს ზედაპირულ წყალში და გამოიწვიოს წყლის გარემოს დაბინძურება.

ნაპირსამაგრის მოწყობის დროს, ასევე წყლის დაბინძურების ძირითადი რისკია ნარჩენების არასწორი მართვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირული წყლის დაბინძურება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამუშაოები არ ითვალისწინებს მდინარისთვის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენებას.

მშენებლობის პერიოდში მკაცრად გაკონტროლდება: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა, ხოლო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში განხორციელდება მათი სწორი მართვა და შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

მკაცრი კონტროლიდან გამომდინარე საქმიანობის განხორციელებისას ზედაპირულ წყალზე უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

სამშენებლო ტექნიკას აუცილებელია ჰქონდეს გავლილი ტექდათვალიერება.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში და არ მოხდება უშუალო კონტაქტი წყალთან, რაც თავისთავად ამცირებს წყლის დაბინძურების რისკებს.

ზემოქმედება მიწისქვეშა (გრუნტის) წყალზე

ბორჯომის ხეობა განსაკუთრებით გამოირჩევა მიწისქვეშა მინერალური წყლებით, მიუხედავად ამისა საპროექტო ობიექტის ფარგლებში გრუნტის წყლების ზედაპირული გამოსავლები არ დაფიქსირებულა სავსე კვლევებისას.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში გრუნტის წყლების დაბინძურების პირდაპირი ზემოქმედების რისკები გამოიხატება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების დაღვრაში, გაუმართავი ავტო ტექნიკიდან და ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში. თუმცა გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს მხოლოდ დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებამ, რაც აუცილებელია აღკვეთილ იქნას ზედაპირიდანვე. ასევე პროექტის განხორციელების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზედაპირული წყლის და გრუნტის დაბინძურების მონიტორინგს.

ზედაპირული წყალზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, ამგვარად გრუნტის წყლების დაბინძურების რისკებიც არ არის.

ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

ნაპირსამაგრის მოწყობისას პრაქტიკულად არ არსებობს ზემოქმედება ფლორაზე და ფაუნაზე.

ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობისათვის საჭიროა მდინარე მტკვრის კალაპოტში მუშაობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ გამოიყენება ადგილზე არსებული რესურსები და ნაპირის მოსაწყობად გამოსაყენებელი ფლეთილი ქვები ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება უახლოესი კარიერებიდან, რაც მაქსიმალურად ამცირებს სამუშაოების პერიოდს და დაბინძურების რისკებს, ხოლო საბოლოოდ კი მცირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება.

ნაპირსამაგრის მოწყობა დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში და ასევე ფლეთილი ქვების განთავსება ისე მოხდება, რომ ტექნიკას არ ექნება უშუალო კონტაქტი წყალთან, რაც თავისთავად ამცირებს წყლის ფაუნაზე უარყოფით ზემოქმედებას.

ნარჩენების მართვა

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე - არ არის გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკების მოწყობა, ნაპირსამაგრისთვის საჭირო ფლეთილი ქვები მზა სახით იქნება შემოტანილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი ნაგავსაყრელი - ერთ ბორჯომში და მეორე ბაკურიანში, ამიტომ თუ საქმიანობის პროცესში მოხდება რაიმე სახის ნარჩენის წარმოქმნება (არა სამშენებლო ნარჩენი, საყოფაცხოვრებო ნარჩენი), მაშინ ნარჩენები დროებით განთავსდება კონტეინერში და გატანილ იქნება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე,

ხოლო ნარჩენების რაოდენობა სავარაუდოდ უმნიშვნელოა, რაც ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების არ საჭიროებს.

სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში. სამუშაოების დასრულების შემდგომ სახიფათო ნარჩენების არსებობის შემთხვევაში, ნარჩენი გადაეცემა იურიდიულ პირს, რომელსაც ექნება ნებართვა ამ სახის ნარჩენების გაუვნებელყოფაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის რისკი არ არსებობს.

სამუშაოთა დასრულების შემდეგ, საპროექტო ტერიტორია გასუფთავდება ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.

ზემოქმედება დასახლებულ პუნქტზე

ყვიბისი — სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ე.წ. ბორჯომის ხეობაში, ე. ბორჯომიდან 6 კილომეტრში. სოფელში ჩამოედინება მდინარე ყვიბისისწყალი (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი). 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 1527 ადამიანი.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული. საპროექტო ტერიტორიიდან საცხოვრებელი სახლები დაშორებულია სხვადასხვა დისტანციით, ხოლო ნაპირსამაგრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 20-25 მეტრში მდებარეობს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაპირსამაგრსა და დასახლებულ პუნქტს შორის გადის სარკინიგზო ლიანდაგი და თითქმის პარალელურად მიუყვება საავტომობილო გზაც.

სამუშაოების ზემოქმედება დასახლებულ პუნქტზე მხოლოდ დროებითი იქნება და მიმართულია ტერიტორიის დასაცავად და დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო დროთ და არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე.

კუმულაციური ზემოქმედება

ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დროებითია და არ არის დაგეგმილი რაიმე სახის სტაციონალური ობიექტის მშენებლობა ან მონტაჟი, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის რაიმე სხვა სახის მშენებლობა და ამის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ცხრილში მოცემულია გარემოზე ზემოქმედების სახეები:

ზემოქმედების სახეები:	კი	არა	კომენტარები
------------------------------	-----------	------------	--------------------

კუმულაციური ზემოქმედება		x	სამუშაოს განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
ჭარბტენიან ტერიტორიას		x	არ ესაზღვრება
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		x	არ ესაზღვრება
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		x	არ ესაზღვრება
დაცულ ტერიტორიებთან		x	არ ესაზღვრება
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		x	არ ესაზღვრება
ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		x	მიუხედავად იმისა, რომ მდინარე მტკვარი ტრანსსაზღვრო მდინარეა, აღნიშნული პროექტს არ აქვს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება და მხოლოდ ადგილობრივი ტერიტორიის დაცვას ემსახურება
კომპლექსური ზემოქმედება		x	არ არის მოსალოდნელი ტერიტორიაზე რაიმე სახის სხვა სახის ზემოქმედება.

დასკვნა

მდინარე მტკვარის მარჯვენა ნაპირზე ნაპირსამაგრი ბერმის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი კვლევებიდან და შეფასებებიდან გამომდინარე სამუშაოებს არ აქვს ძლიერ უარყოფითი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე. ამასთან საპროექტო ნაპირსამაგრი უზრუნველყოფს საქართველოს რკინიგზის ლიანდაგის და საავტომობილო გზის უსაფრთხო ექსპლუატაციას და ასევე დასახლებული პუნქტის (სოფ. ყვიბისი) დაცვას.

რკინიგზის და საავტომობილო გზის უსაფრთხო ექსპლუატაციის მნიშვნელობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განსახორციელებელი სამუშაოები მხოლოდ დადებითი და საჭიროა, ხოლო გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება თითქმის არ არის.

საპროექტო ობიექტის მოკლე აღწერა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყვიბისის მიმდებარედ, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე 80 იან წლებში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაზიანებული რკინიგზის მიწის ვაკისის აღსადგენად იმ დროისათვის გამოყენებული იქნა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ნარჩენი წიდა, რომელიც რკინიგზის საშუალებით გადაიზიდა და პირდაპირ შემადგენლობიდან მოხდა მისი ჩაყრა ვაკისის ზედაპირზე.

დაგეგმილი ნაპირსამაგრი ღონისძიებები აუცილებელია, რადგან ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე წყალდიდობის პერიოდში ხდება მდინარის დონის აწევა, რასაც თან სდევს ინტენსიური გვერდითი ეროზია და პირდაპირ საფრთხეს უქმნის რკინიგზის ლიანდაგის უსაფრთხო ფუნქციონირებას და მიმდებარედ არსებულ საავტომობილო გზებს.

პროექტის მიზანს წარმოადგენს რკინიგზის მიწის ვაკისში ჩაყრილი წიდას ამოღება და ვაკისის გამაგრება ფლეთილი ქვის ლოდებით. დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ორ უბანზე ნაპირსამაგრი ღონისძიებების გატარებას. ორივე უბანზე გათვალისწინებულია ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება.

ნაპირსამაგრების მოწყობა ითვალისწინებს მდინარე მტკვრის კალაპოტში სამუშაოების განხორციელებას, რომლის დროსაც არ იქნება გამოყენებული ადგილზე არსებული მასალა და სტანდარტული ფლეთილი ქვები შემოტანილი იქნება უახლოესი კარიერებიდან.

ნაპირდამცავი ბერმების ადგილმდებარეობა

საპროექტო ტერიტორია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირია, რომელიც მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის, სოფელ ყვიბისთან.

ნაპირსამაგრის ორივე უბნის განხორციელება საჭიროა რკინიგზის ლიანდაგის დასაცავად, ხოლო საქართველოს რკინიგზა შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და ქვეყნის სტრატეგიული ობიექტია. ასევე, ნაპირსამაგრის მოწყობა მნიშვნელოვანია სოფ. ყვიბისის საავტომობილო გზების დასაცავად.

სოფ. ყვიბისთან რკინიგზის ლიანდაგი მდებარეობს მდ. მტკვრის პირველ ტერასაზე და მიუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს, ხოლო ლიანდაგის გვერდით პარალელურად საავტომობილო გზა მდებარეობს.

პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ხოლო მეორე 1039 მეტრს.

ორივე მონაკვეთი მდინარის მიერ დაზიანებულია და განვითარებულია გვერდითი და სიდრმული ეროზია. არსებული ფერდობი ვერ უზრუნველყოფს ნაპირის სათანადო დაცვას და საფრთხეს უქმნის ინფრასტრუქტურას.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მჭიდროდ დასახლებული პუნქტია, ხოლო საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 20-22 მეტრშია.

დოკუმენტს თანდართული აქვს საპროექტო ტერიტორიის GIS-Ship, ავტოკატის ფაილები, ნახაზები, ტოპო-გეგმა და ფოტომასალა.

ნაპირსამაგრის საპროექტო მახასიათებლები

დანართებში, ნახაზებზე მოცემული ნაპირსამაგრი პროექტი ითვალისწინებს ავარიული ნაპირის (ორივე უბანი) დაცვას ლოდებისგან აგებული ნაყარი ბერმის (ფლეთილი ქვები, ქვანაყარი) აგებას. ნაგებობის საანგარიშო პარამეტრები გათვლილია და გაანგარიშებულია მდინარის მაქსიმალური 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისად.

პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია 1,0≈1,1მ, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³.

მეორე უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1039 მეტრს, ლოდის საანგარიშო დიამეტრია 1,00 მ-ს, მისი მოცულობითი წონა შეადგენს 2,6 ტ/მ³.

ნაგებობის ერთი გრძივი მეტრი საშუალოდ შეიცავს 26,9 კუბ.მ. მოცულობის ლოდს, ნაგებობის გარე კუთხის დახრა (ფერდის) დახრა შეადგენს $m=1.5$. საპროექტო ბერმის თხემის სიგანე შეადგენს 4 მეტრს, მარაგი წარეცხვაზე -1,0 მ-ს, ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მ.

ნაპირსამაგრის მოსაწყობად გამოყენებული იქნება კარიერიდან შემოტანილი სტანდარტული ფლეთილი ლოდები.

კონსტრუქცია გათვალისწინებულია მდინარე მტკვრის ჰიდროლოგიური მონაცემების მიხედვით, ხოლო ნაპირსამაგრის მოწყობა მდ. მტკვარზე განხორციელდება წყლის მოდინების მცირე ხარჯის პერიოდში.

მშენებლობის ორგანიზაცია

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის სარკინიგზო ხაზის 1.4 კმ-იან მონაკვეთზე მდინარე მტკვარზე ნაპირდამცავი ბერმის მოწყობას.

მშენებლობისათვის საჭირო ქვის მიწოდება იწარმოებს ავტოთვითმცლელელებით 95 კმ. მანძილზე. მშენებლობისათვის საჭირო სასმელი წყლის მიღება განხორციელდება ახლომდებარე დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებიდან.

მშენებლობის მწარმოებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიციური კადრებითა და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

მშენებლობის წარმოების კალენდარული გეგმა შედგენილია შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობებზე დაყრდნობით. ცალკეულ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მექანიზმებისა და მუშახელის რაოდენობა განისაზღვრა შესაბამის სამუშაოთა სამშენებლო ნორმებზე და წესებზე დაყრდნობით (სნ და წ IV-2-82 თავი 2) და ნაჩვენებია მშენებლობის წარმოების კალენდარულ გეგმაზე

მშენებლობისათვის საჭირო მუშახელი მობილიზებული იქნება ახლომდებარე დასახლებული პუნქტიდან.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა. სამუშაოთა წარმოებას ვიწყებთ უსაფრთხოების ნორმების და წესების СНИП 3.01.01-85 -ის მოთხოვნათა შესაბამისად, სამშენებლო მოედნის დაცვით - შემოკავებით და სხვა მოსამზადებელი სამუშაოთა ჩატარებით. ყურადღება უნდა მიექცეს დროებით გამაგრებების, დამცავ ფარების და შესაბამისი საგზაო და სხვა ნიშნების მოწყობას და დაყენებას.

მშენებლობის ორგანიზაციით მშენებლობის ვადა განსაზღვრულია მშენებლობის ტექნოლოგიით და მოსამზადებელი სამუშაოების გათვალისწინებით შეადგენს 4 თვეს. ამასთან სამუშაოთა წარმოების ვადების შემცირების მიზნით მიზანშეწონილია სამუშაოების ჩატარება ორ ან სამ ცვლადაც – აღნიშნული საკითხი გადაწყდეს და შეთანხმდეს დამკვეთთან.

მიზანშეწონილია სამუშაოები განხორციელდეს სექციების მიხედვით და დაწყებული იქნას 1 სექციით, და 1 სექციის დასრულების შემდეგ გადავიდეთ მეორეზე.

უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში

სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სტანდარტების, ნორმების, ინსტრუქციების და რეკომენდაციების სრული დაცვით. სამუშაოების წარმოებისას გზაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა. ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციისათვის საჭიროა ტრანსპორტის მოძრაობის მართვა, საგზაო მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი და მიმართველი საგზაო ნიშნების დაყენება სადაც მიმდინარეობს სამუშაოების წარმოება.

სამშენებლო სამუშაოები უნდა წარმოებდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების 3.02.01-74 მოთხოვნათა სრული დაცვით. მშენებელი ვალდებულია შეასრულოს ზემოთ აღნიშნული ყველა მოთხოვნა და ის მოთხოვნებიც, რომლებიც მითითებულია ზემოხსენებულ სამშენებლო ნორმებსა და წესებში. მოსამზადებელი სამუშაოებისა და უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისათვის მშენებელი ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი და სხვა შესაბამისი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული ღონისძიებები:

- ☑ სამუშაოების დამთავრების შემდეგ სამუშაო და სამშენებლო მოედანი უნდა გასუფთავდეს ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვისგან.
- ☑ აკრძალულია ნამუშევარი ნავთობპროდუქტების და სხვა ნაგვის ჩაღვრა და ჩაყრა მდინარის კალაპოტში.
- ☑ აკრძალულია მანქანა-მექანიზმების რეცხვა მდინარის ნაპირზე. მათ გასარეცხად უნდა მოეწყოს სპეციალურად აღჭურვილი ადგილები.

მშენებლობის წარმოებაში უსაფრთხო მეთოდების და სანიტარული ნორმების დაცვა სავალდებულოა. ტექნიკური უსაფრთხოების წესების ნორმები (II-4-89) განხილულია ყველა ის საკითხი, რომელთა ცოდნა სავალდებულოა მშენებლობის პერსონალისათვის.

მშენებლობაზე შეიძლება დაშვებული იქნენ ის პირები, რომელთაც ჩაუტარდებათ ტექნიკის უსაფრთხოების და სანიტარულ წესებზე სპეციალური ინსტრუქტაჟი. შემდგომში მუშა-მოსამსახურეებს განმეორებითი ინსტრუქტაჟი უტარდებათ ყოველ სამ თვეში, ან სამუშაო ხასიათის, ან ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით.

მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა არსებული გზის მოწესრიგება, რათა უზრუნველყოთ თავისუფალ სამშენებლო ტრანსპორტის ობიექტზე მანევრირება. მოძრაობისათვის სახიფათო ზონები საჭიროა დაიდგას სპეცილიზირებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

სამუშაო ადგილები უნდა იქნას უზრუნველყოფილი სამუშაოს წარმოებისათვის საჭირო უსაფრთხო ინვენტარით. სამუშაოს დაწყების წინ მუშები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ

დამცველი ჩაჩქანებით, სპეციალური ტანსაცმლით და ფეხსაცმლით. მშენებლობის ყველა ქვედანაყოფი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი დახმარების მედიკამენტებით. მუშებისათვის, რომელთა სამუშაო დაკავშირებულია ტოქსიკურ მასალებთან, საჭიროა მუდმივი მედპერსონალის ზედამხედველობა. ამწე-მექანიზმების მამობა ტვირთის გადაადგილების დროს უნდა მოხდეს თანდათანობით, ბიძგების გარეშე. ამწეების მოქმედების ზონაში ხალხის ყოფნა დაშვებული არ არის. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესრულება მშენებლობაზე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. ობიექტზე უნდა არსებობდეს სპეციალური ჟურნალი, სადაც დაფიქსირდება უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევის ყველა შემთხვევა.

დირექტორი

ბ. აბდელანი


ნაპირსამაგრი ბერმის მოწყობის სამუშაოთა პიკეტური უწყისი



პკ +	განიკვეთის ფართი		საშუალო ფართი		მანძილი განიკვებს მორის	მოცულობა	
	ქრილი	ქვაყრილი	ქრილი	ქვაყრილი		ქრილი	ქვაყრილი
1	2	3	4	5	6	7	8
I მონაკვეთი							
0+00	57.43	56.42					
			60.795	57.78	20	1215.9	1155.6
0+20	64.16	59.14					
			57.235	54.905	20	1144.7	1098.1
0+40	50.31	50.67					
			44.68	54	20	893.6	1080
0+60	39.05	57.33					
			40.17	56.395	20	803.4	1127.9
0+80	41.29	55.46					
			41.825	55.64	20	836.5	1112.8
1+00	42.36	55.82					
			42.655	53.33	20	853.1	1066.6
1+20	42.95	50.84					
			46.2	51.27	20	924	1025.4
1+40	49.45	51.7					
			64.555	51.19	20	1291.1	1023.8
1+60	79.66	50.68					
			80.425	50.66	20	1608.5	1013.2
1+80	81.19	50.64					
			83.12	50.65	20	1662.4	1013
2+00	85.05	50.66					
			77.955	50.68	20	1559.1	1013.6
2+20	70.86	50.7					
			75.715	50.695	20	1514.3	1013.9
2+40	80.57	50.69					
			81.16	50.685	20	1623.2	1013.7
2+60	81.75	50.68					
			79.305	50.68	20	1586.1	1013.6
2+80	76.86	50.68					
			94.95	50.685	20	1899	1013.7
3+00	113.04	50.69					
			92.94	50.67	20	1858.8	1013.4
3+20	72.84	50.65					
			70.06	38.775	20	1401.2	775.5
3+40	67.28	26.9					
			47.95	26.9	11	527.45	295.9
3+51	28.62	26.9					
II მონაკვეთი							
3+81	16.2	26.9					
			28.205	38.775	19	535.895	736.725
4+00	40.21	50.65					
			39.3	50	20	786	1000
4+20	38.39	49.35					
			37.17	49.745	20	743.4	994.9
4+40	35.95	50.14					
			47.05	50.395	20	941	1007.9
4+60	58.15	50.65					
			52.195	50.745	20	1043.9	1014.9
4+80	46.24	50.84					
			39.155	52.24	20	783.1	1044.8
5+00	32.07	53.64					
			39.145	52.145	20	782.9	1042.9
5+20	46.22	50.65					
			47.875	51.385	20	957.5	1027.7
5+40	49.53	52.12					
			48.635	51.385	20	972.7	1027.7
5+60	47.74	50.65					
			47.3	50.65	20	946	1013
5+80	46.86	50.65					
			53.63	50.65	20	1072.6	1013
6+00	60.4	50.65					
			50.875	50.65	20	1017.5	1013
6+20	41.35	50.65					
			42.615	50.595	20	852.3	1011.9
6+40	43.88	50.54					
			43.13	50.585	20	862.6	1011.7
6+60	42.38	50.63					
			44.345	50.65	20	886.9	1013
6+80	46.31	50.67					
			50.175	50.66	20	1003.5	1013.2
7+00	54.04	50.65					


			57.87	54.19	20	1157.4	1083.8
7+20	61.7	57.73					
			57.43	58.2	20	1148.6	1164
7+40	53.16	58.67					
			48.315	59.335	20	966.3	1186.7
7+60	43.47	60					
			40.885	60.66	20	817.7	1213.2
7+80	38.3	61.32					
			37.635	61.23	20	752.7	1224.6
8+00	36.97	61.14					
			34.04	60.645	20	680.8	1212.9
8+20	31.11	60.15					
			30.53	60.125	20	610.6	1202.5
8+40	29.95	60.1					
			27.08	59.55	20	541.6	1191
8+60	24.21	59					
			26.24	58.93	20	524.8	1178.6
8+80	28.27	58.86					
			26.185	58.555	20	523.7	1171.1
9+00	24.1	58.25					
			21.12	57.84	20	422.4	1156.8
9+20	18.14	57.43					
			16.285	57.05	20	325.7	1141
9+40	14.43	56.67					
			16.05	56.35	20	321	1127
9+60	17.67	56.03					
			21.24	55.685	20	424.8	1113.7
9+80	24.81	55.34					
			24.41	55.065	20	488.2	1101.3
10+00	24.01	54.79					
			24.655	54.395	20	493.1	1087.9
10+20	25.3	54					
			25.855	52.24	20	517.1	1044.8
10+40	26.41	50.48					
			25.27	50.57	20	505.4	1011.4
10+60	24.13	50.66					
			24.625	49.7	20	492.5	994
10+80	25.12	48.74					
			26.215	48.94	20	524.3	978.8
11+00	27.31	49.14					
			24.56	50.195	20	491.2	1003.9
11+20	21.81	51.25					
			20.31	53.02	20	406.2	1060.4
11+40	18.81	54.79					
			15.405	53.01	20	308.1	1060.2
11+60	12	51.23					
			13.37	49.8	20	267.4	996
11+80	14.74	48.37					
			16.84	48.99	20	336.8	979.8
12+00	18.94	49.61					
			17.565	47.885	20	351.3	957.7
12+20	16.19	46.16					
			17.525	45.89	20	350.5	917.8
12+40	18.86	45.62					
			23.95	45.465	20	479	909.3
12+60	29.04	45.31					
			31.23	45.335	20	624.6	906.7
12+80	33.42	45.36					
			32.535	45.685	20	650.7	913.7
13+00	31.65	46.01					
			29.97	45.08	20	599.4	901.6
13+20	28.29	44.15					
			26.875	45.445	20	537.5	908.9
13+40	25.46	46.74					
			25.26	46.225	20	505.2	924.5
13+60	25.06	45.71					
			24.49	45.275	20	489.8	905.5
13+80	23.92	44.84					
			28.055	44.425	20	561.1	888.5
14+00	32.19	44.01					
			22.86	45.42	20	457.2	908.4
14+20	13.53	46.83					
			6.765	23.415	20	135.3	468.3
სულ მოცულობა						57180.145	72052.325



სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი


#	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
	მოსამზადებელი სამუშაოები			
	_ გზის და სარეგულაციო ნაგებობების დაკვალვა კოორდინატთა სისტემაში	კმ	1.39	
	_ ბუჩქნარისა და წვრილი ხეების გაჩეხვა-ამოძირკვა	ჰა	2.78	
	_ არსებული დაზიანებული სარეგულაციო ნაგებობის დაშლა ხელით ნარჩენების დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე და ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	180	
	_ სამშენებლო მოედნის მოწყობა:			
	_ სამშენებლო მოედნის მოხრეშვა-მოშანდაკება კარიერიდან მოზიდული ქვიშა-ხრეშოვანი მასალით, ბულდოზერით გადაადგილებით 25 მ-დე	მ3	600	
	_ სამშენებლო მოედნის შემორაგვა მავთულბადით, ხის ბოძებზე	გრძ,მ	600	
	უკუფილტრის მოწყობა			
	_ ჭრილის ფერდზე გეოტექსტილის არანაკლებ 250 გრ/სმ ² ფენის მოწყობა	მ ²	10008	
	_ გეოტექსტილზე დამცავი ფენის მოწყობა ქვისა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 30 სმ	მ ³	3002.4	
	ნაპირდამცავი ბერმის მოწყობა ქვის ლოდებით			
	_ კალაპოტში ჩასასვლელი გზების და ნაგებობის წინ დროებითი ჯებირის მოსაწყობად გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, გადაადგილება ბულდოზერით 50 მ-დე	მ ³	1500	
	_ ქვანაყარი ბერმის ქვეშ ქვაბულის მოსაწყობად გრუნტის (წიდას) დამუშავება ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე და გატანა ბაზაზე 95 კმ-ზე	მ ³	57180	
	_ კალაპოტში სამშენებლო მოედნის ზედაპირის მოშანდაკება ბულდოზერით, გადაადგილებით 50 მ-დე	მ ²	6950	
	_ მდინარის კალაპოტში საშუალოდ Ø1.0 მ. ფლეთილი ქვებისგან ქვანაყარი ბერმის მოწყობა პიონერული მეთოდით, ქვის მოცულობითი წონა არანაკლებ 2.6 ტ/მ ³)	მ ³	72052	d-0.5მ-10%; d-1.0მ-70%; d1.5მ-20%
	ბერმის თხემზე სამშენებლო ტექნიკის სამომრად ქვაბულიდან ამოღებული მასალით მისი ზედაპირის მოხრეშვა	მ ³	1112	
	_ ბერმის უკან ყრილის მოწყობა მოზიდული ხრეშოვანი გრუნტით	მ ³	3780	





 <p>შპს "პროექტ-ინჟინერინგ" ქ. თბილისი, შ. ა. შ. ბ. ქ. მ. ქ. 112 ტელ: +995 555 30 43 63 საბჭო-საქართველოს საზღვარგარეთო ინჟინერინგის კომპანია</p>	<p>შპს "პროექტ-ინჟინერინგ" ქ. თბილისი, შ. ა. შ. ბ. ქ. მ. ქ. 112 ტელ: +995 555 30 43 63 საბჭო-საქართველოს საზღვარგარეთო ინჟინერინგის კომპანია</p>		<p>გეოდეზიის და სარკინო-საგზაო სამშენიაშენობის სამსახური</p>		
	<p>პროექტი</p>	<p>დ. აბულაძე</p>	<p>26.01.2021</p>	<p>მას. ნახაზის ნომერი</p>	<p>ნახაზის დასახელება:</p>
	<p>შეამოწმა</p>	<p>ბ. შიშოძე</p>	<p>26.01.2021</p>	<p>1:1000</p>	<p>სტრუქტურული გეგმა</p>
<p>ფასობა</p>	<p>ლ. ნოსტრევა</p>	<p>26.01.2021</p>	<p>2-1</p>		



		შპს "პროექტი" - საქართველოს ინჟინერული კომპანია შპს "PROECT COMPANY" - Georgia Engineering Company		თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 111 Tbilisi, Vazha-Pshavela St. 111	
პროექტი 2021	დ. აბაშიძე 2021	26.01.2021	მას.	6.98.99.01.01.01.01	1:1000
გეგმა 2021	ზ. მამუკაძე 2021	26.01.2021	2-1	1:1000	1:1000
8000	26.01.2021	26.01.2021	2-1	1:1000	1:1000

46.35400
368400

46.35300

46.35500
368400

46.35500
368500

46.35400
368500

46.35300
368500

46.35200
368500

46.35500
368600



46.35500
368600

46.35300
368600

46.35200
368600

46.35200
368700

4634500
368600



4634500
368500

4634700
368400


4634600
368400


4634500
368400


700


კონსულტანტი

ობიექტის მფლობელი

	შპს "პროექტ კომპანი"		ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვივისის სარკინიგზო ხაზის 14 კმ-იანი მონაკრები ნაპირსამაგრი სამუშაოები	
	მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. 12 ტელ: +995 555 30 43 63			
	სახელი: საქართველოს რკინიგზის კომპანია			
შიშველი	დ. აბულაძე	26.01.2021	მას. ნახაზის ნომერი	ნახაზის ფასხელება:
შვანიძე	დ. შიშიძე	26.01.2021	1:1000	სტრუქტურული გეგმა
ღახუა	ლ. ჩიქორიძე	26.01.2021	2-1	




		შპს "პროექტ-კომპანი"		თბილისის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 100	
0050		აბრეშაძე		01.12.2020	
635		1		01.12.2020	
დანაშაუნი		1:200		01.12.2020	
3-1		3-1		3-1	



შპს "პროექტი"


საინჟინრო-კონსტრუქციული კომპანია


	შპს "პროექტი" კომპანია ქ. თბილისი, მ. ბერიძის ქ. 12 ტელ: +995 33 30 43 63 სასაქონლო მისამართი: projectcompany@gmail.com 050		გ/ე/ს X 0 მშენებლის სერვისი \ იმისი და 0 მშენებლის 05 0 0 3 0705 500 00 0 და X660000			
	0050	საინჟინრო	01.12.2020	სს	საინჟინრო	საინჟინრო
603 00 3	ქ. თბილისი		01.12.2020	1:200		საინჟინრო-კონსტრუქციული კომპანია შპს "პროექტი"
დასახელება	ს. კომპანია		01.12.2020		3-2	





შპს "პროექტ კომპანი"

გეოდეზიური და სურათების სამსახური

	შპს "პროექტ კომპანი" ქ. თბილისი, აბაშიძის ქუჩა, კმ. 12 ტელ: +998 555 30 41 63 სასაქონლო მართვის პროექტი: 050		გეოდეზიური და სურათების სამსახური შპს "პროექტ კომპანი"		
	0050	საგეოდეზიო	01.12.2020	სს	სახელის ტიპი
	63	ქ. თბილისი	01.12.2020	1:200	სახელის დანახედი:
დასახელება	ს. კომპანი	01.12.2020		3-3	სპონსორის დასახელება: შპს "პროექტ კომპანი"



